არა, რომ ვუყვირდები, ძალი, რომელიც პირველ მიშევაზე მარცხნიდან უტყეს, უფრო ამბიციურია და ელკის გამო ჩუზობს. საერთოდ, სუჯობს მამალი ძალის ჩუზობისა, ოჯახიდან ქალი ესწრებოდეს, მაშინ ძალს მისი სტვენია და ცდილობს უკან არ დაიხიოს, თუ დედას აჩუბებ, მაშინ მონინაღმდგვის ძალს უნდა მოუფერო და შენი ძალი პატრინის დაკარგვის მიმით უფრო დაუნდობელი იქნება. ძალი, რომელიც იმ დღის მშეურია, უფრო თავდაჯერებულად იბრძვის, ხოლო ძალი, რომელიც ერთხელ მაინც გაუშველებიათ მოგების პროცესში, უფრო სულსწრაფია.

მოკლედ, ცხენი მაინც გამოაგ ზაენლი და ვეცდები კრიზინალური გაზეუთები შემოაგ ზაენლი და დეტექტივ!

ჯოკე!

ქართული თუ დაგვიყინდა და ნოსტალგია მოგეძალა, განებე რუსულად რაღაც სისულელებებს წერას თავი, აიღე ბილეთი და ჩამოდი აქ, ჩამოდი, ნავიკითხე ძველებურად ბულაჩაურში და თუ კიდევ შეტამ ორმოც ხინკალს, ყველაზე ძვირან პორდელში ნაფიყვან, შე ცხვირა, შენი!

ჯოკე!

დასასრულ შემდეგ ნომერში



„სული ისევ უტყვია, ლექსად დახეტიალობს“ — ეს სტრიქონები ნინო ქუთათელაძის ცხოვრებისა და შემოქმედების დევიზადაც კი შეიძლება მოვიხაროთ.

მისი ლექსის დარდი და ემოცია ყოველთვის გულწრფელი იყო. ამ უაღრესად განსწავლული პოეტის ინტელექტს არასოდეს შეუშლია ხელი ლექსისათვის, ძველი მოტივიფიცი მოსულიყო ჩვენამდე და მასში თანამედროვე პოეტის სახე და ხელნერა დავეხანება.

მით უფრო დღეს, როცა ასე გამოიკვეთა ჩვენი უპირველესი საერთო განცდა და საფიქრალი.

ფარსევდელია ნინო ქუთათელაძის თბილისი და არა იმიტომ, რომ ბავშვობასა და სიყმაწვილს ნათელი მიაჩნდა თან. უბრალოდ ჩვენ ყველანი მიჩვეულები ვიყავით, რომ თბილისს ზამთარ-ზაფხულ ხალისიანი ფერი ეყო და მზე ისვენებდა ამ ქალაქში.

სადღაც დაიკარგა ეს სიმშვიდე, სიყვარულთან ერთად სადღაც მიიპარება და ქრება, მაგრამ ის სადღაც ხომ მაინც რჩება, უპირველესად მაინც პოეზიაში.

ნინო ქუთათელაძე

•••
 თბილისში არ სტვენს ბულბული,
 ვით ბავშვობისას სტვენდა,
 ეული მტკვარი ლულუნებს,
 ქალაქში დაქერის სევდა.
 სივრცე სჭირდება გალობას,
 სტვენას სჭირდება განცდა
 და სიყვარულის წყალობა,
 დგომა აღსავლის კართან.
 თბილისში არ სტვენს ბულბული,
 ქაჯეთი ვერ თმობს უკუნს,
 ეს ქაჯეთა სამშო გუგუნებს,
 ქაჯეთან რა უნდა ბულბულს?!

•••
 ხშირად მგონია, რომ უკვე მოვკვდი,
 გარდაიცვალე და არ ვარ ქვეყნად
 და ვგზუები უმკაცრეს მოტივს,
 და დაზავებას უნაზეს ფერთან –
 თეთრი ნისლია, თეთრი წყვიდადი...
 ეინა თქვა, თითქოს შავია ბინდი?..
 ამ საოცრებას შენც ხომ მიაგენ
 და სინაული შეხსენი სინდისს.
 სიმარტოვეში ვინ დაეშვება?
 ვინ შემოაღებს კარს უსალამოს?
 ჩემს თეთრ საღამოს ეალერსება
 მხოლოდ მომავალ დღეთა საღამო.

•••
 იქ უდიდეს იმპერიას
 გამოაკლდა ერთი სხივი,
 „პეტერბურგი“ იმდენია,
 მტეი ერთი დარდი მივის –
 წამოვიხსნა მძიმე ტვირთი,
 მივეშვირო სახე ნიაგს,
 საუკუნე დაეძრა იქით,
 სადაც სრული სიმშვიდეა;
 არ მომდევდეს სხვისი მზირი,
 ასკერი და ყიზილბაში,
 ვაშენებდე ტაძრებს თირით,

მზეს ვუმღერდე ოთხივ ხმაში,
 ოთხივ კუთხივ ვისაბავდე
 ჯვარს და მქონდეს დიდი გული,
 რომ სითბოთი ამოვავსო
 ეს ქვეყანა გაყინული;
 დაფინახო გზა და ხანძრით
 განბნინილი დედამინა,
 უდაბნოდან ვიხში ხალხი,
 ამოვიდე სამარიდან;
 რომ სიკვდილად ღირდეს ყოფნა,
 განწირულის ნვცა და დაღლა,
 თუ მოსვლია, ჰგავდეს მოსვლას,
 თუ ნასვლია, იყოს ნასვლა.

•••
 ჩემო სანყალო პროვინცია,
 ჩემო პანია საქართველო,
 მე შენთვის გული მომიცია,
 ყელამდე დარდით დაექართველობ...
 რაღაცა უნდა გავაკეთო,
 რაღაცა უნდა დაიფერო,
 ჩემო უანგარო არაკეთო,
 ღამე სინაულით აიკელო;
 მტერს და ავს როგორ დავემონმო,
 მოყვარე როგორ გადაეთელო, –
 მეუფე შიშველია სანაქებოდ,
 უფრო შიშველია საქართველო.

•••
 მინა მყიფეა, როგორაც ბროლი,
 გაღვებისას ტყდება
 და ტყდება...
 ახლა ჩამოტყდა სამშობლო ჩემი,
 დაანყდა ღამეს ვარსკვლავთა ნყება.
 გაბზარულ მინას ეხება ტერფი,
 თიხით და გზნებთ ვანებებ სხეულს,
 სირცხვილი ძლეულს –
 დაპლაღი ლექსებს,
 მინა სისხლს ინოვს –
 სირცხვილი ძლეულს!..
 გათიშულია სამყარო ვრცელი,
 ვილაცას ვილაც კლანჭებით ზომავს
 და სამათხოვროდ განვდილი ხელით



ცდილობ დასძლიო ძლიერთა წყრომა.
 მიწა მყიფეა, როგორაც ბროლი
 და ასდის მიწას სინათლის კვამლი,
 და სული ტოვებს მშობელს და მობილს
 და არ აწუხებს სინდისი არვის.

კუპლიცისტური გადახვევა

აღარ ისმის ენა „ხმათა ხავერდების“,
 გამოუსხამს ზეგებს უნაყოფო ფაზი,
 „ფოლს“ მღერიან, მაგრამ გულზე ემცხებთები,
 ემცხებთები, რადგან არ სჭირდები არვის.
 ქარაგმებით ისევ დასაბყარდა სმენა,
 „ვენახს თესენ“, რადგან „ამენებენ ქიშკარს“...
 დამურების სივილს და ბულბულის სტვენას
 აძეკს ერთი ფასი, ვით „კოზაკს“* და „ციგანს“.**
 ნაზდა ჩემი ხატი,
 ველარ ვგლოვობ საგლოვს, –
 ყველა საქართველოს მოქალაქეს“ ფიცავს,
 ან რად უნდათ ბევრი საქართველო ნეტავ,
 როცა ერთსაც ციმციმ აბარებენ მიწას.

და იმედი მაინც ბოლოს კედება ისევ,
 და ვიფარებ ფარად რუსთაველს და საბას,
 და მივცურავ ზღვამი,
 ქართულ ბგერებს ვიჭერ,
 და გაქარწყლებ სულში ამოფრქვეულ ხანძარს.

* * *
 ყველაფერი სულერთია! –
 ნვიამა გადაინვიძია.
 ყველაფერი სულერთია! –
 ქარმა გადგრილა.
 სული ისევ უტეხია,
 ლექსად დახტიალობს,
 ყველაფერი სულერთია,
 აღარ მტკივა იარა.
 არაფერი აღარ მითხრა,
 ხსოვნით ნულარ გამათობო,
 ხსოვნამ ღამე გააიცივა,
 შევეჩვიე მართონს...
 და გამისხლტა სახელოდან
 ბედის ყველა ვარსკვლავი,
 აღარაფერს აღარ ვკარგავ,
 რა მაქვს დასაკარგავი?!

* * *
 განა მე მიწა უღვთო ნრიალი,
 ნრე ზე სირბილი,
 ნრეში დადნობა!

* ამათებურად კაზაკი, ჩვენებურად – აქლემის ნამიერი
 ** ბოშა (ლიტ.)

უნდა ამოვხტე, უნდა ვიარო,
 უნდა დავძლიო მოუსაფრობო.
 საითაც გული მენევა, იქით! –
 იქით გაიღებს სისხლს და სინათლეს –
 არაფერია, თუ რამ დაეკარგე,
 არაფერია, თუ რამ ვინატრე!

მინდა დაგიმთო მთელი სამყარო!
 – შევეკრა ფიცით
 უფრო სივრცეს
 და მოვეჭიდო მთების სიმალღეს,
 სადაც მარადი სიმღერა მიწვევს.
 ვიცი, იქ ისევ სიმართლე მოთოვს,
 მოთოვს სიცივე და სიმართლევე,
 დავთმობ თვალის ჩინს,
 მშობლიურ მითებს,
 ვიღონდ ამ სწრაფვას ვერ მივატოვებ.
 ცეცხლს მოვევლები, როგორც არშია,
 ფერფლად ქცევასაც უნდა გაძლება,
 აქ ავისრულზე ყველა ხვამიადს,
 სადაც არავინ მომენატრება!
 მაცადე, გავცდე
 გზებს და ქარიშხლებს,
 დროს და მედროვეს,
 თუკი მადროვეს,
 ქარი თავისას ისევ არ იშლის,
 მეც ამ აწყვეტას ვერ მივატოვებ!

* * *
 ახალ ნელს ისევ უშენოდ ვხედები
 და ნათელ სხივში სევდა ჭიატებს
 მე ისევ ჯილუტ ქარიშხლებს ვხედნი,
 შენ ისევ თოვლზე სითბოს მიაფენ.

თეთრ ნაფეხურზე სიწუმე წვება,
 წვება უღონო და გაცრეცილი...
 და ჩემი მძიმე ნაბიჯებს სწყედბა,
 ცაზე კაშკაშებს შენი ნერტლი.

გიორგობა კუპიაზა

თამაზ კოლაშვილის დაკრძალვაზე

გიორგობაა, ნუ გაიკვირვებ,
 იასამანი ყვავის;
 გიორგობაა, გადაიკივლებს
 ზაფხულის ერთი წამიც...
 და შერე თოვლი დახატავს მიწას
 სიმართლის თეთრი კალმით,
 გიორგობაა, ნეტაი იმას,
 ვინც ღმერთთან არის ლამის...
 გიორგობაა, გულში ცრემლები
 ფონავს მზისა და ქარვის...
 ნუ გაიკვირვებ, თუკი ვსველდები –
 იასამანიც ყვავის.



ქარი

ქარი, რომელიც დაჰქრის,
 ქარი, რომელიც სერავს,
 ქარი, რომელიც ბურღავს,
 ბოლოს მოგვიღებს ყველას.
 ქარი, რომელიც ალღებს,
 ქარი, რომელიც ხურავს,
 ქარი, რომელიც ახვევს
 თავის ცეცხლს ხატაურას.
 ქარი, რომელიც ქანცავს,
 ქარი, რომელიც დაოხს,
 ქარი, რომელიც ფანტავს
 სულში დაქენილ ქაოსს.
 ქარი, რომელიც დაძრინის,
 ქარი, რომელიც სუსხავს,
 ქარი, რომელიც გვაცლის
 და მერე გვაცლის სულსაც.

ალსარება

მე ვიტანჯები უძძიმეს ტანჯვით,
 რომ ყველაფერი ჩემი ბრალია,
 ჩემი ბრალია, რომ დღეებს ანვიმს,
 რომ სიყვარული წარმავალია.
 მთელი გარემო ტანჯვით იცხება
 და მლიღებს ჰგვანან ტანჯვის მხლებლები,
 გადამქართულდა თავდავიწყება
 და ცივ სამოთხეს შუბლით ვეხლები.
 გლუვია ხალხი, როგორც კედელი,
 ირეკლავს მხოლოდ ბნელსა და წყვიდადს,
 მე კი მათში ვარ გამოკეტილი,
 სიცოცხლე უღვთო ჯალათებს მიაქვთ.
 მე ვიტანჯები ჯალათის ხედრით,
 რომელმაც უნდა მომკეთოს თავი...
 დამანაშავე ვარ, რომ წყვიდადს ერთვის
 დამამხოვბელი ზარი და კეთრი
 და რომ არ ესმის აქ სიტყვა არვის.
 შემომბრუნდა ის საუკუნე
 სისხლით დასვრილი ხეღვანის სვლეპით,
 წყვიდადის მიღმა ბანი ბუბუნებს
 და უკანასკნელ სიამეს მესვრის.
 მე ვიტანჯები უძძიმეს ტანჯვით,
 ტანჯვამ მოიცვა სულიც, სხეულიც
 (ჯანდაბას ჩემი ფანიც და ხარჯიც),
 სინანულში ვარ გამომწყვდეული.

 უნდა დათმო ბნელი ღამე,
 დილა გაითენო,
 ის ცრემლები შენ რომ გავსებს,
 დაივიწყე, ჩემო!
 გაუსაძლის მწარე ნაღველს
 და ღალატის გემოს
 დასასრული უნდა ახლდეს,

სიყვარულო, ჩემო!
 ბევრი სული შენკენ მოჰქრის,
 შეიერთე ჩემიც,
 იქნებ სწორედ ის ლოდი ხარ,
 საფლავებს რომ შეენის;
 იქნებ ლოცვის ტკივილი ხარ,
 ქარის ხმით რომ მღერის,
 იქნებ მოყმის ქადილი ხარ
 და სიმტკიცის გრდემლი...
 ვიდრე შენთან მოვიდოდი,
 თავს ვირთობდი სტვენით,
 გავიარე სისხლის ზღვები,
 მაინც მოგატეხი.
 სიმარტოვის მწარე განცდა
 უნდა განიდევნო,
 მოწყყნილი შენი სახე
 ამარიდე, ჩემო!
 უნდა დათმო ბნელი ღამე,
 დილა გაითენო,
 სიყვარულო,
 სიყვარულო,
 სიყვარულო ჩემო!

ლექსი - ორკისტრი

ინყებს გული ნამტყრევით
 მოვარდება თოვლის ხვავი
 მერე - გულის ხმათა ფონი
 მოვერცხვდება საქსოფონი
 დაგუფული როგორც ორთქლი
 მაღალ მთიდან ამოქსქადრი...
 სიხარულის მწვანე ლორთქი
 სეფედიან დღის ნასამზრალი -
 ვილიონის მყიფე ხემი
 ხევით ხეზე გადებული
 ზედ მაღამოდ დადებული
 იფუშალი გაზაფხული
 უცაბედი ალაზღედი
 მაგრამ მაინც შეუმუცდარი...
 კლავიშების თეთრი თენი -
 ეკაბატარდზე გარდის შეგება...
 სინანულის ვარდზე მიტი
 უფრო ვარდი რა იქნება...
 გაფენილი ქარში ნართი
 ალიონზე მიაქვს ნიავე
 თეთრში - შავი, შავში - დარდი
 ზემოთ ღრუბლის დარაია...
 აქ სინანულს ამოჰყვება
 ბანზე ბანი, ბანზე ბანი
 და ბუტბუტებს ხვატისაგან
 გახვითქული სარატანი!
 გათანგული ტიმპანები
 აყოლილი ქარის ოხვრას
 მათ სირჩემე ტახტით მოჰყავთ
 თავყვანს სცემენ როგორც ბომონს
 მხოლოდ ერთად
 ერთად მხოლოდ



ნანა კაკაბაძე

„მთარგმნეო ქართულად!“

•

თურქი ნობელიანტი

თუ ალბერ კამიუ, ყველაზე ახალგაზრდა 40 წლისა გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი, გაბრიელ გარსია მარკესი კი — 52 წლისა, თურქ მწერალ ორჰან ფამუქს ეს ჯილდო წილად ხვდა 54 წლისას.

ორჰან ფამუქი განათლებით ფურნალისტიკა, დამამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ფურნალისტიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სრული კურსი, მაგრამ არასოდეს ფურნალისტიად არ უმუშავია. მისი პროფესია მწერლობაა. ამ საქმის გარდა სხვა არაფერი უკეთებია. ორჰან ფამუქის ნივნები თარგმნილია 59 ენაზე და გამოქვეყნებული 100-ზე მეტ ქვეყანაში. 2005 წელს ფრანგულმა ფურნალმა „პროსპექტი“ მსოფლიოს 100 ინტელექტუალური ადამიანის სიაში ორჰან ფამუქს მოახვედრა. 2006 წელს კი ამერიკულმა ფურნალმა „თაიმი“ იგი შეიტყვნა მსოფლიოს 100 ისეთ ადამიანთან რიცხვში, „რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ჩვენს სამყაროზე“.

ორჰან ფამუქის პიროვნების გარშემო თურქეთში არსებობს ურთიერთ-საპირისპირო აზრები და შეხედულებანი. ზოგი აღფრთოვანებულია მისი მიქალაქობრივი გამბედაობით, ზოგი კი სამშობლოს მოღალატედ რაცხს. ზოგს მიაჩნია, რომ იგი უდავოდ ნიჭიერი და პოპულარული მწერალია, ზოგი კი საერთოდ არ სცნობს ან პლაგიატობად სდებხს ბრალს. ზოგს მოსწონს მისი ენა, თხრობის მანერა, რომანის ქარაჯი, ზოგი კი ამბობს, თურქული არ იცისო. რა არის ესოდენ ჭრელი აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?

2005 წელს შეიცვარიაში ყოფნისას ფურნალისათვის „დას მაგაზინი“ მიცემულ ინტერვიუში ორჰან ფამუქმა განაცხადა: „ამ ქვეყანაში (თურქეთში) 1 მილიონი სომეხი და 30 000 ქურთია მოკლული, მაგრამ ვერაფერი პოეზიას ანაზე ლაპარაკს. ის, რაც 1915 წელს დაემართათ ოსმალეთში მცხოვრებ სომეხებს, იყო უდიდესი საიდუმლო. დაფარული და დამალული თურქი ერისაგან, ეს გახლდათ ტაბუდადებული მოვლენები. მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ წარსულის შეფასება“.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ თურქეთში ნამდვილი სკანდალი ატყდა. მწერლის ეს სიტყვები აღქმულ იქნა, როგორც თურქეთისა და თურქული იდენტობის შეურაცხყოფა. მის მიზართ სასამართლოში აღიძრა საქმე, რომელიც ითვალისწინებდა 6 თვიდან 3ამ

წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ის კი არაა, ისეთი ძლიერი იყო ნაციონალისტ-რეაქციონერთა შემოტევა, რომ ფამუქს გარკვეული ვადით სამშობლოს დატოვება მოუხდა.

მწერლის სახელის გარშემო ატეხილმა რეაქციულმა ისტერიამ და სასამართლოში აღძრულმა საქმემ მსოფლიოს მასშტაბით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პირველ რიგში, ჩირქი ცეცხმობდა თურქეთში აზრის თავისუფლად გამოთქმისა და თავისუფალი სიტყვის არსებობას. ეს კი, რასაკვირველია, უარყოფით გავლენას ახდენდა ევროკავშირში თურქეთის შესაძლო შესვლაზე. სასამართლო პროცესი უნდა შემდგარიყო 2005 წლის 16 დეკემბერს. არ დარჩა ევროპაში საერთაშორისო ორგანიზაცია, საპროტესტო აქცია რომ არ მოეწყო. ის კი არა, „საერთაშორისო ამნისტიის“ ორგანიზაციამ საქვეყნოდ მოითხოვა თურქული საპართლის კოდექსიდან 301-ე პუნქტის ამოღება, რომლის მიხედვითაც, ბრალი ედგობდა ორჰან ფამუქს.

მსოფლიოს ცნობილი გრა მწერალი — ჟოზე სარამაგუ, გაბრიელ გარსია მარკესი, გუნტერ გრასი, უმბერტო ეკო, კარლოს ფუნტესი, ხუან გოიტისლო, ჯონ აშდოკი და მართი ვარლას გრასი — შეიკრიბა და გამოვიდა განცხადებით, რომელშიც ორჰან ფამუქის მსურველ მხარდაჭერა იყო გამოთქმული. შეიძლება ითქვას, ევროპა ფეხზე დადგა ფამუქს. სასამართლო პროცესისათვის უკომპეტენტო იყო იუსტიციის სამინისტროს დასკვნა, რომელიც ამ უკანასკნელმა არ გასცა და ამიტომ 2006 წლის 22 იანვარს სასამართლომ უფლებამოსილების უქონლობის გამო დავა დახურულად გამოაცხადა. ამ სკანდალისა და საერთაშორისო ხმაურის შემდეგ ზოგიერთმა მიომიხილველმა ისიც აღნიშნა, ორჰან ფამუქმა ეს განაცხადათ აკავეთა ერთგვარი თვითრეკლამის მიზნითაც, რადგანაც მას მანამდე არასოდეს გამოუფლენია ინტერესი სომეხებისა და ქურთების საკითხების თემატიკაში.

ასე იყო თუ ისე, იმავე წლის მიწურულს ორჰან ფამუქი ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი და თანაც ერთ-ერთი ახალგაზრდა თურქი მწერალი, რომელსაც მიეკუთვნა ნობელის პრემია.

ბრატომლაც კულუარებში გაერცვლდა ხმა, რომ ნობელის პრემია ინიჭებოდა „ადონისის“ ფსევდონიმით ცნობილ სირიელ პოეტს, ალი აჰმეთ საიდს. მაგრამ, აი, 2006 წლის 12 ოქტომბერს 14.00-ზე გადმოიკა შევედით აკადემიის ოფიციალური ცირკულარი შემდეგი ფორმულირებით: „მშობლიური ქალაქის მულანქილოლირი სულთსი ძიების კულტურათა შორის არსებული კონფლიქტებისა თუ მათი შეერთების საკითხებზე ახალი სიმბოლოების აღმოჩენისათვის ორჰან ფამუქს მიენიჭოს ნობელის პრემია“. ეს პრემია ითვალისწინებდა 1 მილიონ 360 ათას დოლარის ოდენობის თანხას.

2006 წლის 7 დეკემბერს შევედით აკადემიის დარბაზში ორჰან ფამუქმა თურქულად წარმოთქვა სიტყვა „მამაჩემის ჩემოდანი“. მაყურებლებს დაურვიდათ ტექსტის თარგმანი, რომლის საშუალებითაც მიაღწევს თავლი სიტყვას. მრავალმა სატელევიზიო არხმა პირდაპირ გადასცა ეს გამოსვლა. „გარდაუვალოდამდე ორი



ნლით ადრე მამაჩემმა თავისი ხელნაწერებითა და რეგულაციებით სავსე პატარა ჩემოდანი გადმომიცა და ჩვეული რჩინითა და იუმორით უმალ მოაყოლა, რომ ენადა მას მერე წამეკითხა, ის რომ აღარ იქნებოდა ანუ მისი გარდაცვალების შემდეგ. დღისაგან განსხვავებით, მამა წინააღმდეგი როდი იყო, შეიღო მწერალი გამოუსულიყო. მაშა იყო მისი შემოქმედების პირველი შემფასებელიც და დაფასებელიც. მამამ უწინასწარმეტყველა, დადგება დრო და მთელი პრემიის ლაურეატი გახდებით.

„მიტომ კი არ მითხრა ეს სიტყვები, რომ დავერწმუნებინა, ანდა შეეხსენებინა, ბევრისათვის ამგვარი ჯილდო რაოდენ სასუკეარი მიხანია, არამედ თანადგომისათვის, გამბედაობისათვის, თურქი მამა თავის ვაჟს რომ ეტყვის: „მოვა დრო და ფაშა გახდები!“ – ზუსტად იმგვარად მითხრა. წლების მანძილზე, ყოველთვის, როცა კი მწახურობდა, ვასამხრეველთაგან მუდამ ამ სიტყვას მიმეორებდა“.

ორშამ ფაშუქის მამა გარდაიცვალა 2002 წლის დეკემბრის თვეში. ამ დროდღის, პატრიისა და ლირების მომნიჭებული შედეგით აკადემიის ძვირფასო წევრებო, ძვირფასო სტუმრებო, გულით მენადა მამაჩემი დღეს ჩვენს შორის ყოფილიყო.“ ამ სიტყვებით დაამთავრა მწერალმა თავისი სანობელო გამოსვლა. სანობელო ლექციის ქართული თარგმანი ეკუთვნის თურქოლოგ ქეთევან ტომარაშვილს. დაბეჭდილია გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დასტამბულ ნიგში „თეორი ციხესიმაგრე“. ქართულ ენაზე სანობელო ლექცია ერთობ შთაბეჭდილია, იკითხება ადვილად, ერთი ამოსუნთქვით, რაც უდავოდ მთარგმნელის დამსახურებაა.

ორშამ ფაშუქისათვის ნობელის პრემიის მინიჭება თურქეთში განსხვავებული რეაქცია მოჰყვა. ზოგისთვის ეს პრემია იყო პოლიტიკური ნაბიჯი და ე.წ. ხარკი მწერლის იმ მოქალაქეობრივი პოზიციის გამო, რომელიც მას აქონდა სომხებისა და ქურთების საკითხის მიმართ. ზოგმა კრიტიკოსმა, რომელიც მწერალს არ ინდობდა მისი შეხედულებების გამო, მაინც მიულოცა ფაშუქს ეს უმაღლესი ჯილდო. მაგრამ ზოგმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც მიაჩნდა, რომ ფაშუქმა დაამცირა თურქეთი და თურქობა, არჩიეს ზურგი ეტყიათ მისთვის. მწერლისათვის ნობელის პრემიის მინიჭების ზუსტად მეორე დღეს თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხით ორშამ ფაშუქის, ნობელის პრემიის, მისი მიმნიჭებულისა და საზოგადოებრივი შედეგების მიმართ საკმაოდ უარყოფითი შეფასება გაკეთდა. დაიწერა საპროტესტო ტიქსტი და გროვდებოდა მოქალაქეთა ხელმოწერები, სადაც ფაშუქი მოხსენიებული

ლი იყო, როგორც „ამერიკული პატენტის მქონე პოსტ-მოდერნისტულ რომანთა ავტორი, რომელსაც ისედაც გარანტირებული ჰქონდა ნობელის პრემია.“ ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მამოძღვლა პრეზიდენტმა აშქინ ნეჯფეთ სეზერმა არც ტელევიზიით და არც მედიის საშუალებებით არ მიულოცა მწერალს ეს უმაღლესი ჯილდო. და მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფაქტი თურქული ლიტერატურის განვითარებას ალიარებას მოასწავებდა. მწერლობისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უდრელი ძალისხმევა და მოთმინება დასჭირდა მშობლიურ ნიაღში დასაბრუნებლად და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ლირსულად ადგილის დასამკვიდრებლად ქეთევან ტომარაშვილს სევდა და სუგეში, ჩვენი მწერლობა, 2001, №22).

ორშამ ფაშუქის ქმნილებანი მიეკუთვნება პოსტ-მოდერნული რომანის ჟანრს. მწერალი შეფასებულია როგორც ავანგარდი რომანისტი; ავტორი თურქული რომანის მნიშვნელოვანი შემოტრიალებებისა; მწერალი, რომელმაც აღმოსავლეთ-დასავლეთის საკითხი – თავისი კულტურულ და ფილოსოფიური მიზანობით – ლიტერატურაში გადმოიტანა. ფაშუქის პირველი რომანი „ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ (1982), რომელიც თავიდან საზოგადოებამ გაიყინა სათაურით „მეყვდილი და სინათლე“ (1979). ორშამ ფაშუქმა 27 წლისამ თავისი პირველი და იმთავითვე წარმატებული რომანი შესთავაზა საზოგადოებას. სულთან აბდულჰამიდის წლების მინურულს ჯევედეთ ბეი პატარა დუქნის მფლობელ მუსლიმანი ვაჭარი გახლდათ. ბერძნებისა და ებრაელების მიერ დაკავებულ სავაჭრო სექტორში იგი ერთ-ერთი პირველი მუსლიმანია, რომელიც ვაჭრობას მიჰყოფს ხელს. რომანი „ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ არის გასული საუკუნის დასასრულიდან, ვიდრე დღემდე ერთი ოჯახის სამი თაობის ისტორია, შეიძლება ითქვას, რომ ეს თვით თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაა. აღიარებულია, რომ ნინო ყველაზე ადვილი და გასაგები ენითაა დაწერილი. სულ ახლახან ბაკურ სულაჯურის გამოცემვებამ დასტამბა ნანა ჯანაშიას მიერ შესრულებული მისი ქართული თარგმანი, რომელიც ეძღვნება მთარგმნელის მამის, გამორჩენილი თურქოლოგის ნოდარ ჯანაშიას ნათელ სხივებს. თარგმანი ისე ადვილად იკითხება, შეიძლება იფიქრო, ფაშუქს ის ქართულად ხომ არ დაუწერიაო. გამართულ, გრანდულ ქართულს ეტყობა მთარგმნელის მოშობის, ბატონი ნოდარ ჯანაშიას ხელი. ფაქტობრივად, თურქული (და არა მარტო თურქული) ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი ჩვეული ინტერესით



ორშამ ფაშუქი



ნაკითხავს ამ ახალ შენაძენს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე თურქეთის საზოგადოების ცხოვრების წესზე.

პირველ რომანში მოჰყვა „იდეოლოგიის სახლი“ (1983). ნიგნის განსაკუთრებული მოწონება ხვდა სახელმწიფოებრივ თქვეს მონა-მორჩილს აქვს დიდი სურვილი თარგმნოს ეს ნაწარმოები.

„თეთრი ციხისმაგრე“ (1985) – ისტორიული რომანია, რომლის გმომთავის შემდეგ დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა. ორპან ფაშუქი პლაგიატობაში დაადანაშაულეს. მითითებულია უფათ ჯარისმის ნაწარმოები „ჰედროს იძულებითი მოგზაურობა სტამბოლში“ ან იგივე „სტამბოლი სულეიმან კანუნის დროს“, საიდანაც არათუ მსგავსი ნინადავებები მოყვანილი, არამედ ნათქვამია, რომ ნაწარმოების ქარგა მთლიანად გადაღებული. ნიგნი ნაჩვენებია კონფლიქტი და თანხვედრა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანობასა და ისლამს შორის. ნაწარმოებში ასახულია თურქი პოჯასა და ვენეციელი მეცნიერის, ასტრონომის, ასტროლოგისა და ექიმის თავდასაჯალი. ამბის მოსათხრობად მე-17 საუკუნეა შერჩეული. ნიგნი თანამედრობითაა მოყოლილი ორი მეცნიერის სულიერი კავშირი, ერთმანეთთან თანდათანობითი დაახლოება, რაც არამარტო მათ სულიერ, არამედ ფიზიკურ მდგომარეობაზეც აისახა იმდენად, რომ მათსავე მათ შეძლეს ერთმანეთის ადგილის დაკავება, ერთმანეთის ჩახაცკლება.

„თეთრი ციხისმაგრის“ თარგმანი ეკუთვნის ქეთევან ტომარაძეს. რომანი არ არის მარტივად, გასართობად ან დასვენების მიზნით წასაკითხი. დაწერილია თანამედროველი რთული და მძიმე ენით, რამაც უდავოდ იქონია გავლენა მათარგმნელზეც. ქართულ თარგმანში იგრძნობა თურქული სიტყვების გავლენა. შესაძლოა მკითხველი არ არის მიწვეული მსგავს უცნაურ ფაბულას და პირველად გააუჭირდეს კონცენტრაცია, მაგრამ რომანის დასრულების შემდეგ გიწმინდება სურვილი, კიდევ და კიდევ დაუბრუნდეს მას. შემდგომი ნაკითხვისას კი უკვე აღარ გეჭვინება ესოდენ მძიმე და აძლიერელი.

ახალმა რომანმა „შავი ნიგნი“ (1990) კიდევ უფრო პოპულარული გახადა მწერალი, და არა მარტო ევროპაში, კიდევ უფრო შორს გაუთქვა სახელი და ავტორიტეტი. ნაწარმოების ქართულ თარგმანზე მუშაობს ქეთევან ტომარაძე, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქართული მკითხველი ეძლევა საშუალებას, მშობლიურ ენაზე გაეცნოს ამ გახმაურებული ნაწარმოების ჩინებულ ორულს.

„შავი ნიგნი“ ერთ-ერთი თავის მიხედვით დაიწერა „ფარული სახლი“ (სცენარი, 1992). ამ სცენარით და ომერ ქაჯურის რეჟისორობით გადაღებულია ფილმი, რომელსაც მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალზე უმაღლესი ჯილდო ერვა ნომინაციაში „საუკეთესო სცენარისათვის“. ის ჯერ კიდევ სტუდენტობისას თარგმნა თამარ ალფინძემ, რომელიც შემდგომ ორპან ფაშუქის შემოქმედებასა და „შავი ნიგნის“ პოსტმოდერნიზმის შესახებ დისერტაციაც დაიცვა. „აღსანიშნავია, რომ ქურჩაღი „ჰლდგანი“ (2, 2000) გამოქვეყნდა სცენარის ქართული თარგმანი.ახალგაზრდა მთარგმნელმა თამარ ალფინძემ წარმატებით გაართვა თავი თურქი

მწერლის უაღრესად რთული მხატვრული და სახარბოვნო სისტემის ქართულ ენაზე ტრანსფორმირებას. იმიტომ, მკითხველის ყურადღების მიძიმა არ დარჩება ფაშუქის ეს უაღრესად საინტერესო ექსპერიმენტი“ — ეს თამარ ალფინძის მანსაველებს, ორპან ფაშუქის არამედულებრივი მცოდნის ქეთევან ტომარაძის შუფასება, ქალბატონისა, რომელიც პირველი ესაუბრა ქართულ მკითხველს ორპან ფაშუქის შესახებ.

ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, ცხადია, ინტერესი ფაშუქის მიმართ გაიზარდა საქართველოშიც. რიგმა გამოცემებმა გამოთქვეს სურვილი მის თარგმანთა გამოცემისა. და აი, გამოცემილობა „ელფის“ საშუალებით ხელახლა დაისტამბა სცენარის „ფარული სახე“ უკვე გადაშუაფებული და გასწორებული ვერსია. „ფარული სახე“ იყო ორპან ფაშუქის პირველი ნაწარმოები, რომელსაც მშობლიურ ენაზე გავცნო ქართული მკითხველი ფრნალ „ჰლდგანის“ მეშვეობით.

„ერთ დღის ერთი ნიგნი წავიკითხე და მთელი ჩემი ცხოვრება შეიცვალა“ — ასე იწვება ორპან ფაშუქის შემდეგი რომანი „ახალი სიკვდილი“ (1994).

„მე მქვია ნითელი“ (1998) — ჩემი ყველაზე ფერადი და ოპტიმისტური რომანია, — აღნიშნავს მწერალი. მოქმედება XVI საუკუნის მინურულს სტამბოლში ცხრა თოვლიანი დღის კანმავლობაში ვითარდება. ნიგნი 25 ენაზე ითარგმნა და საფარდეთის, იტალიისა და ირლანდიის საერთაშორისო ჯილდოები დამსახურა. ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ ისევ წამოიშალა ტალღა კრიტიკოსების, რომლებმაც მწერალს ისევ გაუსწესეს პლაგიატობა და ფალსიფიკირება. დაიბეჭდა ნურალი, სადაც ნათქვამი იყო, რომ რომანის „მე მქვია ნითელი“ ფაბულა და თხრობის მანერა პირნმინდად გადაშლილანდა ანერული მწერლის ნორმან მელიორის რომანთან „ანტიკური საღამოები“. რომანი უკვე თარგმნა თურქული ენის უბადლო ოსტატმა, გამოჩენილმა თურქოლოგმა, არაერთი თურქი მწერლის ნაწარმოების შესანიშნავმა მთარგმნელმა, ქალბატონმა ლია ჩლიძემ. მკითხველი სულ მალე იხილავს მას ისევ ბაკურ სულაჯურის გამოცემილობის ვეიით.

ამას მოჰყვა „თოვლი“ (2000) — თურქეთის ეთნიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე აგებული პოლიტიკური რომანი. 2004 წელს ამერიკაში ის წლის საუკეთესო 10 ნიგნის სიაში მოხვდა. აქ ნაჩვენებია თანამედროვე თურქეთის მდგომარეობა აღმოსავლეთში, კონფლიქტი დასავლურ ეურსში და ფუნდამენტალისტური ისლამიზმს შორის, ეთნიკური ვითარდებები თურქებსა და ქურჩებს შორის. მოქმედება ვითარდება თურქეთის განაპირს ქალაქ ყარსში, პოლიტიზირებულ ისლამისტებს, სამხედრო ნიგნის, რესპუბლიკის მომხრეებს... თურქ და ქურჩი ნაციონალიზმების შორის დაძაბული ვითარება აღწერილი ნიგნი, რომელსაც ავტორი პირველად და უკანასკნელ პოლიტიკურ რომანს უწოდებდა. მინდა ფართო საზოგადოების გამეგრე, რომ ორპან ფაშუქის დიდი მოყვარულა და მთარგმნელი თურქოლოგი ნანა ჯანაშია შეძლებულია ამ რომანს. იგი აქტუალური და თანაც დიდი სიახვედრით თარგმნის მას. ქალბატონი ნანა პროფესიონალი, ეს თარგმანი იქნება ნინაზე გაცილებით უკეთესი.



თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ხელთ უკვე არსებული უკუქველმით ბეი და მისი ვაჭიფილიების" თარგმანი მშენიერია, ძნელი ნარმოსადგენი არ იქნება, თუ როგორ გამოვა "თოვლი" ქართულად. ბაკურ სულაკაურიის გამოცემლობას, უკვე ამ რომანის თარგმნის საავტორო უფლებაც აქვს შექმნილი და არაუგვიანეს ერთი წლისა ქართველი მკითხველი ამ წიგნსაც მიიღებს.

შემდეგ გამოქვეყნდა "სტამბოლი: მოგონებათა ქალაქი" (2003), რომელშიც აღწერილია მწერლის უსაყვარელი მშობლიური ქალაქი, მისი შემოქმედების მუზა და სულის საგანე, მისი შთაგონების წყარო. შეიძლება ითქვას, ეს ავტობიოგრაფიული რომანია.

ჩვენ ქრონოლოგიურად ნარმოვიგინებთ ის შვიდი ნაწარმოები, რომლებმაც ორპან ფაშუქი ნობელის პრემიამდე მიიყვანა. დაბოლოს, უკვე ნობელის პრემიის შემდგომი რომანი "უმანკათა მუხუბში" (2008) სიყვარულის ღამაზე ამბავია. ვენიცი გაიმართა ამ ნაწარმოების თარგმანის პრეზენტაცია. 25 ევროდ ღირებული წიგნის შესაქენად და ავტორის ავტორაფის მისაღებად ავსტრიელები საკაოდ დიდ რიგში გააჩვიდნენ. მწერალმა აღნიშნა, სიყვარულის ეს ამბავი გამოქვეყნებამდე სულ ფურცელ-ფურცელ ნაუკეთებ ჩემს ყოფილ მეუღლეს, რომელთანაც თბილი და მეგობრული ურთიერთობა შევიწარმე.

თურქეთის ბილქენის უნივერსიტეტი ხანგრძლივ მიღწევაში ყოფნისას, მჭირად ბედნიერებს დაესწრებოდი ორპან ფაშუქის საპატივცემლოდ გამართულ საღამოს. უნივერსიტეტის რექტორატმა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან შესახვედრად ანაკარში მოიწვია ცნობილი

მწერალი. თუ მხეხიერება ამ მალაღობას, ეს იყო 2000 წლის შემოდგომა. მასოსეს, იგი სცენაზე დადგმულ მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა თავის მისასაღმებელ სიტყვას, რომელიც დანაწილი იყო მისთვის ჩვეული რთული და უგრძესი წინადადებებით და აღსაქმელად იყო იმდენად ძნელი, რომ მწერალი თითოს ღამის ორ-ორჯერ კითხულობდა. ორპან ფაშუქი ნაოცხრად წინადადების, მერე მრავალმხიფეტლოვად გადაავლბდა თვალს დარბაზს და უკეთ გაგების მიზნით ისევ იმეორებდა. ასე გაგრძელდა მთელი საღამო. ღონისძიების დამთავრების შემდეგ მწერალი გამოვიდა უნივერსიტეტის პოლში, სადაც უშურველად არიგებდა ავტორაფებს. მეც იქვე მოხელთებულ ლიტერატურულ ჟურნალზე მივიღე მისი ხელმოწერა. მორიდებით შევკადრე, საქართველოდან ჩასული თურქული ვარ, საქართველოში კარგად იცნობენ თქვენს შემოქმედებას და ჩვენი თურქული სტუდენტები დილობებს იცავენ და საკონფერენციო თემებს წერენ თქვენს ნაწარმოებზე-მეთქი.

ასეოქამა მწერალმა ზემოდაც გადმოხმება, გადამოხარა და მითხრა: "თუ მართლა ასე კარგად მიცნობენ, რატომ არ მთარგმნე? მთარგმნე ქართულად!"

მივხედე, ცაშე მართალი იყო და მხურავლედ შევიპირდი, რომ აუცილებლად გადავთარგმნიდი.

დღეს ზემი თქვენს წინაშე წარდგამა, სწორედ ამ სიხარულით არის გაწონვეული. ბედნიერი ვარ, რომ სახელივანი მწერლისათვის შეპირებული სიტყვა შესრულებულია. დღეს საქართველოში უკვე გამოცემულია და კიდევ მზადდება გამოასქეცენებლად მის რომანთა თარგმანები.

გამოსახუება

წინო ხახნია

სიცოცხლის
გახანგრძლივების
ნაიღუმლო

1934 წლის ნობელის პრემიის ღაურებას, იცაილილი მწერლის ლუიჯი პირანდელის შემოქმედება უცნობი არაა ქართველი მკითხველისათვის. მისი პიესები წარმატებით იდგმება ქართულ თეატრებში. შარშან გამოცემვლობა "ინტელექტმა" ცნობილი სერიით "ნობელის პრემიის ღაურებატებში" გამოსცა მერი ტიტინიძის მიერ შესანიშნავად თარგმნილი "განსვენებული მატია პასკალი". გადის დრო და, როგორც ჩანს, ინტერესი ამ მრავალმხრივი შემოქმედების მიმართ არ ნელდება. ამას ადასტურებს ჟურნალ "ჩვენი მწერლობის" 2009 წლის მე-15 ნომერში გამოქვეყნებული ნოველა — "მხარზე შემომჯდარი სიკვდილი", რომელიც ახალგაზრდა მთარგმნელმა თორნიე მსხილაძემ პროფესორულად გადმოილო ქართულად. სხვადასხვა ქვეყნისა და

განსხვავებული ასაკის ადამიანების ასეთი შეხვედრა სიერცილებში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პირანდელი ყველა ერისა და ყველა დროის მწერალია.

კრიტიკოსთა მიერ სხვადასხვა ჭრილში დანახული, განსხვავებული რაკურსით აღქმული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ეპითეტებით შეფასებული მწერალი და მისი ნაწარმოებები დღესაც გვაღელვებს, მარადიულ კითხვებზე გვაფიქრებს, სიამოვნებას გვანიჭებს. მის მრავალფეროვან სამყაროში შესასვლელად კი ქართველი მთარგმნელები მიგვიღვიან, ამჟამად — სანაქებოდ — თორნიე მსხილაძე.

სიკვდილ-სიცოცხლის საფიქრალი ერთ-ერთი ძირითადი თემაა ლიტერატურისა ყველა ეპოქაში. მრავალფერაი ვარიაციით შემოთავაზებული ეს თემა არ ძველდება არა მარტო იმიტომ, რომ თვითონ სატიკივარ-საფიქრალია მარადიული, არამედ იმიტომაც, რომ მას დროდარო ნამდვილი მწერლის კალამი ეხება. ასეთ შემთხვევაში კი, რაც უნდა მოძველებული იყოს თემა, თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ გაფიქრილი და დასაბრუნებული, ჭეშმარიტი შემოქმედების ნებით კვლავ ცოცხლდება და მიზიდველი ხდება.

მხარზე შემომჯდარი სიკვდილი" ის ადამიანია, ასე ვთქვათ, ახლოდან დანახული, შიგნიდან გახსნილი, ვისაც საშინელი სენი შეუყრია და სიცოცხლის ხანგრძლივობა



სულ რამდენიმე თვითა პირს განსახლებული. ვაცნობიერებული სიკვდილის პირისპირ მდგარი ადამიანის არსებობა სრულიად იცვლება.

ბრაზილიელი მწერლის პაული კოელოს ერთი რომანი — „პერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა“ — მითლიანად ამბობს სიკვდილის პირისპირ დარჩენილი ადამიანის სულს. თვალდათვლვ ვხედავთ, როგორ მოიპოვო სიცოცხლის ბოლო ერთ კვირამ ვერონიკამ ის თავისუფლება, რომელსაც მანამდე ამაღვ ეძებდა.

განა მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის გავლა არ მოახერხა ამქვეყნიური არსებობისთვის განკუთვნილ თორმეტ დღეში პატარა, ავადმყოფმა ბიჭუნამ ფრანგი მწერლის ერიკ-ემანუელ მშიტის მოთხრობიდან „ვარდისფერი ქალბატონი“?!

ფილოსოფიური ქვერტითა და ემოციური ზემოქმედებით გამოირჩევა ამავე თემაზე შექმნილი ჭოლა ლომობათობის ნოველები და მრავალი კიდევ სხვა.

ე-პი-ტ-ე-ლი-ო-მით დაავადებული პერსონაჟი პირანდელის ნოველიდან ცდილობს მრავალი ცხოვრებით იცხოვროს. სრულად შეიგრძნოს საქაოს სიტუაცია, ამ მიზნით სხვა ხალხს აკვირდება, წარმოადგენს მათ წარსულს, მომავალს. აკვირდება ერთი შეხედვით ნერვილან, უწინმეტელი საგნებს და მოვლენებს და, კი არ ეხერხება, მართლა ცხოვრობს სხვების ცხოვრებაში. არამკვლევარი გზებით უყვება შემთხვევით შეხვედრილ მგზავრს თავისი ფიქრებისა და გრძობების შესახებ.

განსხვავებული, იდუმალი, განყენებული სამყაროთი ცხოვრობს ნოველის პერსონაჟი. ის საკუთარ თავში აღმოაჩენს უამრავ სხვა პიროვნებას, მათ არსებაზე გადაანაინდობს მთელ თავის სულიერ ენერჯიას. შეუძლია საათობით უყუროს, როგორ ფუთავენ მაღაზიის ახალგაზრდა გამყოფელები ნავაჭრს. ისე ოსტატურად, საათობად, სიყვარულითაა ეს ეპიზოდ დანერგილი, რომ მკითხველი თვალდათვლვ შეჰყვება იმას, რასაც არასოდეს დააკვირებია, ან იქნებ წამიერად ყურადღებაც კი მიუქცევია, მაგრამ აქამდე ვერ წარმოადგინა, თუ ასეთი მოშიშდებელი და სიცოცხლით აღსავსე იყო ეს რეუტელბრიგი სცენა მაღაზიაში. და პერსონაჟთან ერთად ჩვენც გულწრფელად გავინდა, რომ ვიყოთ აბრუქმების ქსოვილი, ან ზამბა, ან სულაც ლურჯი თასამა, რომელსაც ახალგაზრდა გამყოფელები ზომებდა ჭრიან... ამ ყოველდღიური, უწინმეტელი, მქანნიკური საქმიანობის აღწერას ეს მომავლადე კაცკი პოულობდა აქცენტს, მამასადამე — უკვადებდადაც. შეიძლება ვინმეს ეჭვიო ეს შეეპაროს მის ნორმალურ ფსიქიკაში, ანუ იქნებ ვინმეს გვიადვაც მოეჩვენოს იგი? სიციფე, აბა რა, ყველადღერძი სილამაზისა და სიამოვნების ძიება! თვით საკუთარი საბედისწერი ავადმყოფობის სახელიც კი თურმე რა ტკბილი და მწველია...

ყველადღერძი წარმოსახვით ეჭიდება, როგორც ხვიარა — ჭიშკარის რაკულებს. ყველა ადამიანს აქვს წარმო-


სახვითი სამყარო, ჰევისი, იდუმალი, რომელსაც რატომღაც არარეალური ჰქვია. ნეტა როდის შეთანხმდნენ ადამიანები, რას ერქვას რეალური და რას — არარეალური? ბოლოს და ბოლოს მართლა კაცნი ვართ და გვესიზმრება, რომ შეუძლებ ვართ, თუ შეუძლებ ვართ და გვესიზმრება, რომ ადამიანები ვართ? რით არის წარმო. სახვითი სამყარო გრძობათა ორგანოებით აღქმულზე ნაკლებზე. რა თქმა უნდა! სიმყარე საინტერესოა და დიდ ხელოვანთა მიერ სხვათათვისაც განდობილი — არაფრით! იქნებ ადამიანთა ერთი ნაწილისთვის, შეფიცულთა კასტისთვის, ყველაფერზე მაღლაც კი იდგეს. მაგრამ თუ გაუზიარებელი დარჩება, მარტო ერთი პიროვნებისთვის იარსებებს და მარტო მის ხილვებს ასაზრდოებს, მიწვეცხოვრება? რა თქმა უნდა! ლუჯი პირანდელის ანტიტრესებს ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი. ამიტომ მოკცვის თავის პერსონაჟებს სხვადასხვა სიტუაციაში და მერე ჩვენთან ერთად აკვირდება მათ მოქმედებას, ფიქრებს...

„მხარზე შემომჯდარი სიკვდილის“ პერსონაჟი კი არ ცხოვრობს, არამედ ცხოვრებაზე საუბრობს. ეს არის მისი დარჩენილი ცხოვრება და შეიძლება უფრო სასვეც, ვიდრე — განვლილი. ექიმის მოსაცვლის დათვალეობა, სადგურიდან გასული მატარებელი, დაგვიანებული მგზავრ... მის ფანტაზიას უკლებს და ავსებს. უცხო ადამიანების ტყავით შეტრიაში უმრავლადეოვნებს და „უხანგრძლივებს“ სიცოცხლეს. მხოლოდ ახლობელთა ყოფის შეგრძობა არ შეუძლია მთელი ძალი. სძულს მუღული, რომელსაც ის უყვარს და მასთან ერთად სიკვდილზე ოცნებობს. ვერ იტანს თავისუფლების ერთი ბნელით შეზღუდვასაც კი. მან იცის, რომ მალე მოკვდება და არა სურს, ფრუად დაკარგოს დროს.

ყველა ადამიანმა შეგნებული ასაკიდან იცის, რომ მალე (თუნდაც ასი წლის შემდეგ) მოკვდება. მაგრამ ადამიანთა უმეტესობა ხომ ისე ცხოვრობს, თითქოს სიკვდილი ცხრა მთას გადადგამა. ერთი ცხოვრების შეტეობასაც კი ვერ ვასწრებთ, სხვათა ცხოვრებისთვის სად გვცლია? მაგრამ სიკვდილის საიბოლოე თურმე როგორ ასხვადეობს მომავლდავის „პანთა ვარდებს და ჩანჩქერებს“.

ჩვენ ვერასოდეს ვემაყოფილებით ნუთისოფლის საიბობა. თასი წერილობისა და უაზრობისგან შემდგარი ცხოვრება ხან ისეთი მომპებრებელია! მაგრამ მხოლოდ იმათთვის, ვისაც სიკვდილი ცხრა მთას გადადგამა ჰქონია. ხოლო ვისაც უკვე მხარზე აზის... ის წარმოადგენს, წარმოსახვებს სხვების წარსულს, აწმყოს, მომავალს. სხვა ადამიანთა ცხოვრებას ნიქვას, ხაპავს, და მაინც ვერ ძღვება. ფანტაზიას სრულ გასაქნას ანიჭებს და ამით თავისუფლებას ხალხშია შეიგრძნობს, მის მოუსვენრობას ხომ სიცოცხლის ბალოშია არადა, ამქვეყნად იმდენი დღე აქვს დარჩენილი, რამდენი ხეცაა თუნდაც ყველაზე დიდ ნარგავში...

ნეტა, ჩვენ რამდენილა დაკვრამ?



მანესადამიანს გაროზპის სანით

1634 წლის 20 აგვისტოს მოსკოვში პირველი ანბანი გამოიკა. XVII საუკუნის რუსეთში ძირითადდ ლიტურგიკული, საეკლესიო, წირვა-ლოცვის წიგნები ისტამბოლდა. 1636 წელს გამოიკა პირველი მოსკოვური ბიბლია. ანბანის გამოცემას სათავე დასილი ზურცვე-პროტკოპოვმა დაუდღ. წიგნი იხსნებადა გრაჯირებული ფონტასპისით და მასზე დასჯილი მონაფის გაროზპის სცენა იყო გამოსახული.



ნოსრევეან არაბული

ნადიგები — ბერძნული და დევური ანუ ჩავსული ქორნილი

იუმორისტული ასონანსი

ხანდახან საოცარს რასმეს ნაადგები თავზე, ნაადგები და შეხედავ და შემოხედავ და შეხედავ და გამოხედავ და მიხედვები თუ დარწმუნდები თუ გაითავისებ, რომ არც ისეთი რამ საოცრების მხილველი ყოფილბარ, მენ რომ ქვეყანა შეყარე და მონმედ რომ მოუხმე. მართლაც და რა მოხდა მერმედ, ჩვენ ხო ყველა ერთმა ღმერთმა შეგვქმნა, ძველიც და ახალიც, ძველი ბერძნებიც და „ხითიშულინიც“ და თვით დევნიც კი და ეს თანადროული სამყაროც, უთვალავი ფერით რომ გვაქვს, იმავ ღმერთისგან არ გვაქვს ბოძებული?

და გონივრება დაახლოებით იმგვარი განცდა, უცხო ქვეყანაში რომ დაიარებე და მოულოდნელად ძალზედ შინაურს ვინმეს გადაწყვედები და თან რომ გახლავს მენი გული-სა და გონების მოზიარე, იმასაც გინდა გააცნო ის შინაური თუ ახლომდელი თუ მოყვასი სულაც და საამოვნებით წარუდგენ ერთს მეორეს და იმ მეორეს კიდევ — ამ ერთს...

და წინდებიან ასოციაციები, იბადებიან თვალსა და ხელს შუა...

და გასრიალდებიან პარალელები, გონების მჭერით განათებენ საუკუნეთა წყვილად.

და გუფულება ღიმილით შემოსილი განცდა და ახლავს იმ ღიმილს სევდიანი ნაოჭიც — ეგებ არ ღირდეს, ან სულაც — საიდან სადაო.

არა აქვს გადაწყვეტი შიშინელობა, თუ გახმაურებული იუმორისტული ლექსი „დედების ქორნილი“ ვინა თქვა, ბლოცმა ბაბუა გიჯაურმა თუ აბლიომა იბოლა ნიკლაურმა თუ სულაც ვინმე მესამემ და ამით „გააქვეყნეს“; ახლა ის უფრო შიშინელოვანია, თუ როგორი სიცხადითა და ემოციურად მუხტითა დახატული პერსონაჟი დევები, რა დინამიკითაა გადმოცემული საქორნილო ორგია, რა ზუსტი და ჯანსაღი თვითირონია, და რა ახლო მოტანალი შორეულ და უხელად მითოლოგიურ პერსონაჟთა ყოფა, ქცევა და პორტრეტები.

ყოველთვის ამას თავის დროზე აკაკი შანიძეც ალუფრობდავინა.

გულიანად აუხარებარებია მძიმე-მძიმე ბლოკლებიც.

ვერც ჩვენ ნაეკითხავთ ამ ლექსს უღიმილოდ.

მიგარდნილი კლდე-ღრუმი მოხეტიავე მონადირე შემთხვევით გადაეყრება დეე ბერას ქორნილს და იქვე სვამს პირველ დამანიტრიგებელ ძახილის ნიშანს: „უყურეთ ბედის წერასა“!

დედების ნაწილი, მასპინძლები, ალბათ — ახალგაზრდები, ქორნილის დანყებაშდეე შექეფიანებულან, უკვე აკვი-ვაგლახობენ“ და მღერინან, ოღონდ მერმედ ისინი უკვე

აღარ ჩანან (ეტყობა, მოსვენეს), თორემ, შემდგომ და შემდგომ, დევის ქალის გათავებებულ მაყრებს იმის უფლებას არ მისცემდნენ, რამაც მშვიდობიანი და დევური სიაიტკბილობისთვის მომზადებული ქორნილი ჩაშლამდე მიიყვანა. პირიქით, მამასწევრა და ჭიბიბოელი, შეძლებისდაგვარად, ნესრიგის დამყარებასაც კი ცდილობენ, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, არც იმათ აღმოაჩნდებათ მოჭარბებულ „ნაფუჭვაბა“.

შოდა, ეს სანადირო ტყაპუქ-ბაჭიქში გამოწყობილი ხევისური, თქმა არ უნდა, კიდევ შეცემა და კიდევ შეფიქრანდა (ქორნილის დაწყებამდე დევებს, ეტყობა, ჩვეულებად არ უნდა ჰქონოდათ ბანქოს თამაში...), მაგრამ ამას ხო არ შეიმჩნევა და მასპინძლების მიპატყიებას მორჩილად დაჰყვება.

ქორნილი, როგორც მოჩანს, მამასწევრანათა უნდა ყოფილიყო, — მეტიც — ბერა მამასწევრას შვილი უნდა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ უნდა მოერთვა „დი-დიდებ ყანწები“ მაინცდამაინც მამასწევრას? ან რატომ უნდა შეეცა თამადას (საინტერესოა: არჩეულს თუ დანიშნულს?) შიგ შუა ქორნილი ნეფის ძვირფას მიცვალებულთა შესანდობარი აირასა და ხერას თამადათ (უნდა ვივარაუდოთ — უფროად ნასულების) და ისიც აუცილებლად განსხვავებული სასმისით — ჯიბის რქით? ან რამ გამოიწვია მაინცდამაინც მამასწევრას ისეთი განრისხება, რომ ქალბებიც კი ვერ იჭერდნენ, თუ მასპინძელი და ოჯახის უფროსი არ იყო?!

ეს ონებ, საქმარის არგუმენტებია!..

ვიც, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მამასწევრა დევი „კვი მაცხოვრებელიც“ ყოფილა, ჭურჭელიც მრავლად ჰქონია და, უნდა ვივარაუდოთ, ძვირფასიც; „იქ რაიც ჭურჭელ ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენასაო“, მენიშნავს ენაწყლიანი მონადირე.

შეძლებული დევი კი იყო მამასწევრა, მაგრამ მდიდრების უმეტესობასავით ნუნურაქი და გულზეგააშულებული როდი ყოფილა, შვილის ქორნილიც ყველა ახალგაზრდა დევი დაბატყია, გარდა ბოდახეველებისა:

**უძახებ ახალუბლებსა, ნუ ვის გასწირავთ, ყველასა!
ნუ აწვეთ ბოდახეველებსა, იორევენ ძალის ენასა.**

ასეთი ბრძანება ვასცა ოჯახის უფროსმა, რომელიც ენატანია და ენატარტალა ბოდახეველებს ვერ იტანდა.

მამასწევრანათ გამოქვაბულის საქორნილო დარბაზში,



საგანგებოდ საკვამის აბლო გასუსული ზის თადარიგიათი ხეხსური და გულის კანკალით უყურებს, როგორ შემოდგომდგონადებთან ახალგაზრდა დევები და როგორ ბლექითროსა და ამრეზით გადააღებებენ თვალს:

ეს საითად ვინ მასთარეთ, ჩვენებსავით რო ვერ ასა?

მეგრამ მამანსვერა არა მარტო კარგი მასპინძელი, კაცთმყოფარე დევიცაა, და სამაროდ აღრენილ ახალგაზრდებს დატუქსავს: „ქორნილ უხარის ყველასაო“.

მონვეულთა შორის, დაკვირვებული თუ გაკვირვებული მონადირის ყურადღება, ერთმა ნაკლებად სიმპათიურმა დევემაც მიიტყია:

ერთ რაიმ რქინა მავიდა, კუდ ობავ, როგორც მელასა, თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა, მეორე კუჭრადამია, უკენისკენაც ხენასა.

ვინ იცის, როგორი მონადირე იყო ჩვენი მობრობელი, მაგრამ შესანიშნავი პორტრეტისტი კი ყოფილა! ვახურდა ქორნილი.

ქალის მაცრები დევებშიც, ეტკობა, სტუმრად თავს საკმაოდ ლაღად გრძნობდნენ.

ნამოიბოთა ერთი ბუნჯველიანი, შეზარხობებული მავყარი და თამბაქოანი სიტრეტისტი თქმის უფლება ითხოვა.

ამანაც — რაზეა ბაახიო.

და მაშინ მოსთხოვეს მამანსვერას „დე-დეი ყანები“.

ამან კიდე — ოღონდ თქვენ ბრძანეთო.

მავარმა კი:

შაუნდნას ჩამავლული, ვინც რომ დააკლდა ბერასაო.

და გადაქრა ყანნი „მამლაყვერამ“.

გადაქრა კი, მეგრამ მაინც „გუნებას ვერ ასა“.

ახლა უფრო მოზრდილი რამ განსხვავებული მოითხოვა.

მამანსვერამ — არ გინდა, შვილო, დაგათრობოსო.

დამათრობსო? ნააულო ხელი მაგადაზე ჩამოდგმულ ქურქულს, „გადანურნა, დავალნა, დახკრა კერასა“.

მაშინ კი ავესო მოთმინების ფილაა ქობიხოლ დევეს, უნდა ვივარაუდოთ — მამანსვერის ბიძაშვილი, და: შენ აქ ვის იგდებ მასხარადო, — ჯერ ერთი ბაღნიანი სილა გააზნა, მერმედ კი ნამოვარდა და შეუძახა: „ესლა გიტრიებ ვეველასაო“.

და აიჩია კიდეც გამოქვაბულყო...

„დეაკარიო!“ მყოლებ იძახან, „ჭერნა აუყუდნათ ბერასა!“

მე რო მავათ შულს შავენარ, მავათ ფარ-ხმლების ჯღერასა,

ერთუცისაკე ზიდილსა, მავათ ქურების ბერვასა!

მოგვითხრობს გაოცებული მონადირე.

მამანსვერა ჯერ ხო აპოშინებდა და აბეკლებდა და აწყარებდა ხან ქობიხოლს, ხან მამლაყვერას, ხან მავარ და ხან მონადირე დევეს, მაგრამ რო ველარაფერე გააწყყო და გააგებინა და შესაზინა, მერმედ კი თვითონაც ქობიხოლივით გაევესო და გაეცამცამა მოთმინების საკმაოდ მოზრდილი ფილაა, გააძრო ხმალი და შემოეძახა:

რაიც რო მასეთი, მაშქამეთ, ცეცხლად მაგაქცეეთ ყველასა.

ეცნენ მშვენიერი დევი მანდილოსნები მამანსვერას, იჭერენ და ვეღარ იჭერენ, ტირიან და „ნკმუტუნებენ“ და მოსთქვამენ და ამ დროს, მავართავანმა ერთმა

სახნის შილა, რაფა ქაქეში, ღებრავსა, სხვამ დასცა ნიხლი იმ დროსა, თავ მაუგლივა კერასა, ნამახტარმ ნამაიყოლა, გამანთებულ კი ვერ ასა, ლაშთა სდვა გაბრუნებული, ცეცხლი მავდეა ენასა...

ვინ იცის, როგორი მონადირე იყო ჩვენი მობრობელი, მაგრამ შესანიშნავი ბეღელტისტი კი ყოფილა!

და ამ სისხლისღერასა და არეულობაში კინალამ არ შემოაკვდათ ბებერი დევი კელა!

და მონადირემავე „საკვმიდან“ გაქცეით უშველა თავს (ისედაც საკმაო ხანს გაუძლო დევეს ვეკლევი ვერასაო“.

ან კი რა ილა ადგა, რატომ და რისთვის და რისთვის... ჩამოვიდა თუმბოლის შემადღებული კიბავი.

მშვენიერი პორტრეტები თუ სახები თუ ტიპები თუ სასიათები.

მწყობრი, თავისთავადი, ლაღი და მიმზიდველი თხრობა.

„შულის“ დინამიური სურათი, ცოცხალი და თითქის თვალბილული.

არც ისე ხშირია მსგავსი მხატვრული სრულყოფილება ჩვენს ხალხურ პოეზიაში.

„დევების ქორნილი“ არ უნდა იყოს ლექსი, იქნებ ბალადაა, იუმორისტული ბალადა თუ რაღაც ამისდაგვარი.

თანაც აქ ძალზედ გაავაზიანებული დევებია, სულ სხვანია კოპალასა და იახსრის ციკლის დევები და მითოსური ეპოქის პერსონაჟი დევები. აქ არ ჩანან დევებთან მერმარი „ხთიშვილინ“, აქ არის პერსონაჟი-მითოპოეტი, მართალია, მაინც „სხვა“, ოღონდ მაინც მათი სუფრის მონაწილე და თანაზიარი, აქ ერთ მუფრავზე გატეხეს უური აღამიანამა და აესულმა, აქ ნამდვილად არ ჩანს წმინდა გიორგის მიერ გველეშაბის მორჯულების ტრადიციული სიმბოლიკა, მაგრამ ჩანს უმორისტული დევები ერთმანეთს და ნაბიჯი ხელის შეწყობითმევისკენ. იქნებ ღირდეს, სხვა „საკვმიდანაც“ შეგვექმნათ „დევების ქორნილი“.

და მაინცდამაინც ნურც დევების სტუმართმყოფარული ფესტი გაგვაოცებს — მონადირე-კაცი კაცთავანი რომ დასატეხეს თავიანთ ქორნილიმ, გასაკვირველი არც ისაა, სასმელით შეზარხობებული დევები ერთმანეთს რო დაევიან, „ჩვენ, კაცთა“ ხომ მოგდის მსგავსი რამ, ადრეულ საუკუნეებში სცოდნიათ „სმა და გადარევე... ოხრიდ“ და თანაც სად და ვის და რისთვის...

ამან კი შეიძლება, გაგაოცეთ და ნელანდელი ლიმილიც, შესაძლოა, ისეც დაგიბრუნდეთ.

აბა, მივადევნოთ თვალი და გული და გონება:

„...კლდედემე, რომელსაც ციკა არ ჰქონდა, შემობრუნდა, შეანერყვია ზენოთემდეს და მარცხენაით ნვერში სწვდა, მისი საფეთქელით ძირს დანარცხებდა სურდა. შემოაკვდებოდა კიდევ მოზოტი, არისტენტს რომ ხელი არ გაეკეცებინა მისთვის და ზენოთემდეზე გადალაგების შემდეგ მათ შორის არ ნამოწილიყო“.



უფრო მეტიც:

„თავებდობდნენ, იღანძვლებოდნენ, უზომოდ ძღვებოდნენ, ყვიროდნენ და ხელჩართულ ჩხუბში ეძებოდნენ. საკვირველად აღკვიდამანტს მარცხივთ კი მო შეურცხვენიდა...“

ეს კი უკვე მეტიც აღმატებულია:

„აღკვიდამანტილო „კლეოდეშეს კეროთი უხეტუნა თავში, პერმონი ყვანო მუშუხსრა, ხოლო მსახურები, რომელთაც სურდათ პერმონსა და კლეოდეშეს მიშველებოდნენ, დაჭრა. თუმცა პერმონი და კლეოდეშე უკან დახევას სულაც არ აპირებდნენ, პირიქით: კლეოდეშემ საჩუენებელი თითით თვალი ვამოსხარა ზენოთეშიდეს და კბილებით ცხვირით კი მოაჭამა, ხოლო პერმონმა ზენოთეშიდეს მისაშველებლად მისულ დიფილეს ჩარტყა თავში...“

ღმერთო ჩემო, ეს რაღაა, ანუ რა დროს ესაა:

„ხოლო როცა ჩირაღდანი კვლავ შემოიტანეს აღკვიდამანტს იმაში ნაასნრეს, რომ მას ფლეტიკაზე დამკვრელი ქალი გაეწიშველებინა და ბეჯითად ცდილობდა მის დამორჩილებას“.

ეს არც კომპროსის თხზულების ნამსხვრევ-ნახსლელტია და არც ბერძენ-სპარსელთა ომებიდან მოხმობილი სურათი, არამედ ცნობილი მოახროვინის, ლუკიანე სამოსატელის „ნადმიდან“ მოტიანილი ეპიზოდებია, ასე კარგად რომ გადმოვლია ქვეთვან ჯერვალიძის და მიშენიერი ნინასიტყვაობაც დაურთავს („ჩვენი მწერლობა“, 2008, 22).

თავში პრაქტიკულზე და ასოციაციებზე მოგახსენებდით. იუმორის ღრმა გრძნობაზეც...

და, ნარმოიფიგინით, არც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ყოფილა იუმორთან უკაცრავად, მეტიც — ისე კარგად შენიღბული თუ დაფარული თუ დახურული ირონია გამოსჭვივს სხვებელი თხზულებიდან, ალბათ შემურდობდა ოხოლა ნიკლაურსა და ბაბუა ვიგაურს, თავიანი დეკლამაციით ხალხს რომ აცინებდნენ.

არადა, ლუკიანე სამოსატელის თხზულებამოც ქორწინალი, ოღონდ ეგაა: ბერძენებმა ქალაქის მათთვის სასურველი ულიტა დააბატოეს, გარდა მუშაობისა და ე.წ. სხვაგვარად მოახროვინეთა, დევნის ნადიმზე კი ბოდახველების გარდა ყველა აწვიეს, თვით ადამიანიც კი.

აჲ, დევნებთან, თუ ბერას აქორწინებდნენ და პატარძლის სახელს (ალბათ მეტიმეტე მოკრძალების გამო) უცნობია, იქ, ბერძენებთან, კლენტიტეს ათხოვებს თავისი ბავლუნიანი მამა არისტენეტი ქერეცსუ.

ოღონდაც, პურმარილი ბერძენებს უფრო უხვად ჰქონიათ და არც ქურჭელი უწინთ დევნებზე ნაკლები, მაგრამ მამასნერა უფრო ხელგამოლი მასპინძლად გვეჩვენება.

ერთი, ღამის მონადირესავით უხვის, ბერძენების სუფრატზე ამომონა — აღკვიდამანტი, მაგრამ, პირველისგან განსხვავებით, მისთვის არც მომატივე ვინმეს გაუგზავნია და არც არავის „აღვერა დაუნა“ და, ბარემოდ აქვე ვიტყვი, მოკრძალებული მონადირისაგან განსხვავებით, ამათ თვითონვე ბატვა დებოში იმ ქორწინლიში.

სავარაუდებელია, რომ იმ დღეს დევების ქორწინლი ფილოსოფიურ პრობლემებზე არ უნდა ყოფილიყო მსჯელობა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, რადრის ფილოსოფიაა ვახურებულ ქორწინლი? მართალია, ქართული სუფრა აკადემიაკია, მაგრამ ეს მიუღებელი ჩანს დევებისთვის და არც ბერძენებს დაუფდათ იაფი.

„დევებისას“ თუ ერთი შემთეკალი დევის მოუზომავმა საქციელმა გამოიწვია არეულობა, იქ, საბერძნეთში, ჯერ ერთი განანყენებული ფილოსოფოსის — ჰეტემოკლეს განხეთქილების ვამოლით შემოგდებულმა ნეროლმა არიდდარია იქაურობა და მერმედ კიდევ ერთმა ცივად მოხარულმა დედალმა, რომლის გამოც ფილოსოფოსები ნაიკედნენ...

ირონიითაა, ორლესული ირონიით განწონილი მთელი ეს შესანიშნავი თხზულება.

არისტენეტის სტუმრებიც საკმაოდ გულფიცხნიც აღმოჩნდნენ. ქიბიოელმა თუ ერთი

სილა აქმარა თავგასულ მაყარს, კლეოდემუმ ნვერთი დაითრია მოხუცი ზენოთემდე და რომ არა მასპინძლის თავგამოდებული მცდელობა, ვინ იცის საქმე რით გათავდებოდა. ამ დღემი არ იყო „ბებერი ქელაც“? აი... მასპინძლების ხასიათს რაც შეეხება კი, არისტენეტი უფრო თავშეკავებით მოქმედებდა და მამასნერასავით „ტლაფრიდან არ გამოსულა“.

მერმედ და მერმედ სანადიმო დარბაზი ბძობლოს კვლის დაემსგავსა. ყველაზე ეფექტურად, როგორც ჩანს, აღკვიდამანტი მოქმედებდა და ღღარავის ახსოვდა არც მოხარული დედალი და არც განსხვავებული ფილოსოფიური მოსახურებანი და არც შინაურნი და არცა გარეუღნი და არცა მოხუცნი და არცა ახალგაზრდანი და ეს კლეოდეშე შინიც ვინა ყოფილა და რას აეკიდა და აღარ ჩამოკობდა ამ მოხუც ფილოსოფოსს ზენოთემდეც, რა ახლა კიდევ თვალის ნამოადვებინა? ან ეს ცხვირის მოქმე რაღა იყო?

და აღკვიდამანტი? განა ამ დაუპატავებულ სტუმარს ნუთიერი სინჯულ თავისი ხორცილი ვნებების ნასანარრომად უნდა გამოეყენებინა?



ლალო გულაშვილი დევები საქორწინო მკ ზაგრობაში



აბა, გაიხსენეთ, როგორ ჭკვიანად იჯდა დევეების ნადი-
ზე მონადირე! ნახა მომენტა და „საკვიმდას“ მშვიდობიანად
დატოვა იქაურბა.

და დღიენ? არც ის ჩარეულა სისხლისღერაში და მშვე-
ნიერი რელიეფებით შემკული თასების მიმოქროლვაში, „მე-
კი კედელს აკრული ვხედავდი ყველაფერს“. ამან ხოლომ-
დე უფურა შეზარადა სანახაობას, მონადირე კი ველარ გა-
უძლი და საკვიმიდან გაპარვით უშველა თავს.

არა, არა, მართალია დევესაც კი „ვაივაგლავი“ სცოდ-
ნათა, მაგრამ...

ამიტომ გამახსენდა, მეორე რო ნაიკითხვ, მამინვე
პირველი გამახსენდა. ეს გარეგნული ფეფტი იყო, უცხოე

ნაგებსა და ნაშენებს რო ნაწყდები რასმეს და გეშინა,
შეგნით შესულს განწყობილება არ შეგცვალავს.

სულ ამის შიში მაქვს, ამჟვად და დამჟვად და დამდევს აწ-
რდელით და არ მასვენებს, ახალ ნიგნებსა და ადამიანებს
რომ ვხედები — უღდა მიტანს...

შევედი და ვნახე იუმორისა თუ ირონიის თუ სატირის
ხასხასა მინდევით.

ხოლო ირონია სხვა მგონია, იუმორი — სხვა.
ერთი დედამამივილები კი არიან.

ბერძნული ფილოსოფია და ფილოსოფიური ირონია.
და ივსებოდა პურის ყანით მინდორი დიდი,
გალაღებული ფრინველი გუნდი ზეცას უვლიდა.
და ხანდაზმული ოლეივი თავს ძირს დახრდა
და გაისმოდა მის ბავეთვან სიტყვები წრფელი:
„ის ჩრდილოეთის ყინვას სდევნის ჩვენი მინიდან“.
არ დადუმდება, იმრიალებს ჩემს ირვლევი მუდამ
დრო-ჟამისაგან გამოცდილი ძველი ნიფელი.

ვიჯექ, ვფიქრობდი, თან ტკილ ღვინის შევეძცივოდე;
ლორების მწყემსი მოვიდოდა და მთხოვდა შევასა,
წაურთმეფით მეკობრეებს ღორების კოლტა,
მურწყით შავისკარტა კარჭამი ყველას;
მე ჩემს ბრძოლებში ნაცად გმირებს ვუხმობდი ისევ
და საომარ ეტლს ბრინჯაოსას, ხმაურით სავსეს,
მოვაგლეწვდი ველებზე და მდინარის პირზე,
როს გარსკვალავები მულადით ელაგდნენ ცაზე.
დავაცხრებოდი მეკობრეებს მოულოდნელად,
როცა ჯერ კიდევ მშვიდი ძლით ეძინა ყველას;
ოქროს ზოდებიც მომიგია საკუთარი ხელით.
არ დადუმდება, იმრიალებს ჩემს ირვლევი მუდამ
დროუჟამისაგან გამოცდილი ძველი ნიფელი

მაგრამ, ნელ-ნელა, როცა ვფლეთდი ჩემს მტრებს ყიჟინით,
ვთელავდი სისხლით და შავ ნუმშით დაფარული არეს,
ჩემს სულში რაღაც იზრდებოდა უცნაურ ჟინით
და მორეევივით ტრიალებდა ცეცხლი მგ წინაბარე,
შევედე, ავხვედე მკვეთრ ვარსკვლავებს მზარყინავენს ცათა,
აღამიანთა მძაფრი თვანთა ირვლევი ელაგდნენ;
სიცილი ნაშსკდა და გავენი იქითკენ სადაც,
კლდის ნაპირი და ლერწმები ქარში ღვლავენ.
ვიციონოდი და ჩიტებს ჭჭერდობდი, ვერ ვგრანობდი დაღლას,
ვარსკვლავნი კრთოდნენ, ღრუბლები კი ოტგოდნენ მაღლა,
წყლები ბრუნავდნენ, ირწეოდა ტინტრობში ლელი;
არ დადუმდება იმრიალებს ჩემს ირვლევი მუდამ
დროუჟამისაგან გამოცდილი ძველი ნიფელი.



ახლა კი ტყეში უბრალოდ დავეხებებო, როცა ზაფხული ფურცლებს ანევის ტკბილ ნექსტარს უღევს, რის ავაზისფრად აჭრელდება ხოლმე ხეები, ან შემოდგომით სიმარტოვე დაისადგურებს. როცა ზამთარი იციხება მთელი ბუნება, ჩაებებსაც* სცივით, როცა კლდეზე თოვლილი ციმციმებს, მე კი დავდივარ და თან ხელებს ვიწმე უწებურ, ვმღერი და ვარხვე აქეთ-იქით დალალებს მიმისს. რუხი მგელიც მცნობს და თუ ყურში ჩაგაველე ხელი მიმყავს ირემი, ბინად რომ აქვს ხშირი ტყე, ბნელი, ალარ მიფრთხიან ბაჭები თვალბნითელი. არ დადურდება იშრაილებს ჩემს ირგვლივ მუდამ დროუამისვან გამოცდილი ხმელი ნიფელი.

ბოლოს, მივადექ მცირე ქალაქს აღრეულ ფიქრით, მას შემოდგომის სავსე მთავრ მთელმხარს თავს ედვა, ფეხისწერებზე დავდიოდი მე აქეთ-იქით, თან ვებუტბუტებოდა და ნაბიჯებს ვუწყობდი ჩემს ხმას, და მივყვებოდი უასრულო ვუცხებს დღით და ღამით, სიერცეს ვფარავდი ნაბიჯებით უზარმაზარით, როდესაც ერთხელ, დავინახე ძველი საკრავი, მიტოვებული საფეხურზე ერთ-ერთი კარის. თან გავიყოლე, დავათრევიდი ტყესა და ღრეში რა საცოდავად ვღერდენ მამის ხმები უბეში

იგიტის მამამ, ჯონ იგიტ-სმა, ცნობილია მხატვარმა, დაახტა იგიტის მეფე გოლის როლიც, რომელიც III საუკუნეში შეიქმნა. ის ასეა შემოხილი, როგორც ირლანდიელი მითოლოგიური გმირი, ძველი ზარი, — შეშლილი მეფე გოლი. სწორედ ამ მეფესთან აიკავება უღელსა იგიტის თავისთავს. ამ მხრივ მისი ლექსი „მეფე გოლის შემოხილობა“ შეტად საინტერესოა. მეფე გოლი, — მითური ირლანდიელი მზრძანებელი, ერთ-ერთი ცხარე ზმძობის დროს ქუიდან შეიშლება. თითქოს რაღაც მუნებარე ცეცხლი ანადგურებს და ზუვავს მის სულსა და გულს. ის ტოვებს ზმძობის ველს დ თავს ტყეს აფარებს, სადაც ის დავებება და აუსრულებული სურვილებით ადვსილ სიმღერებს მღერის. ბოლოს მის საკრავს, რომელსაც იგი ერთ-ერთი სახლის კიბის საფეხურზე იგიტსაც სურათს იპოვის და აღარ იპოვებს, სიმბოლე დაუნებება. მიტოვებული სურათს ახვა გამოხატული, ხელში სიმბო-დნაწვევბილი საკრავით. ერთ-ერთი ვერსიით, მეფე გოლის ამბავი გაიკვირებოდა ადრეული იგიტის ამპიციასთან, გამზადიყო განსაკუთრებული დივარა, — თუცა რა თქმა უნდა არა ირლანდიის მეფე, არამედ ირლანდიელი პოეტი, რომელიც თავისთავში ვაუერთიანებდა არამარტო ეროვნულ გრძნობებს, — არამედ თვით ამ გრძნობას ახსნიდა, ნარმოაჩენდა მას, ნარმოაჩენდა და განასახიერებდა „ირლანდიურობას“ არა მხოლოდ ირლანდიურად მოლაპარაკე ირლანდიელებში, არამედ მთელ ბრტანეთსა და სხვა ქვეყნებშიც. იგიტისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი ამპიცია, გახდეს პირველი და უმთავრესი ირლანდიელი პოეტი, რომელიც ირლანდიურად წერს.

ნიანდობლივია, რომ იგიტის, როგორც მეფე გოლის სურათი, გამოყენებულ იქნა, როგორც ილუსტრაცია, როცა იგიტის ლექსი პირველად გამოჩნდა პერიოდულ გამოცემაში; ეს იყო ვურნალი ზელოვნებაზე, რომელსაც ეწოდებოდა „მოკლეობის საათი“. იგიტის სურვილი გახლდათ, გამზადიყო ირლანდიული და ინგლისური კულტურის შემკავრე-

და იღრეოდა, ყრუვდებოდა მიდამო მთელი. არ დადურდება, იშრაილებს ჩემს ირგვლივ მუდამ დროუამისვან გამოცდილი ხმელი ნიფელი.

ვმღეროდი, როცა ილიოდა შრომა მივლე დღისა, რის ირქიდე** რხევით შლიდა მუქ ჩრდილს დალალითა, როცა აფრქვევდა სურნელებს ირგვლივ თავისას და მომაკვდავ მზის მიოვლულ მუქს როცა მალავდა. სიმიდან სიმზე თამაშობდნენ როცა თითები, ხმა დამეშვავსა ცეკარის ვარდანს მინდვრებს რომ ნამავს და არა იმ ცეცხლს, გულჭინით რომ უტვებ ინთება. ხმა სევდით საესე, ნაღვლიანი ვით იგნანა. რადგან დადურდნენ, შემომანედნენ სიმები ხელში ვიხტეხილი უნდა მარტოდა ამ ბნელ ტყელეში და აეიტმეო ზამთრის ყინვა, ზაფხული ცხელი. არ დადურდება, იშრაილებს ჩემს ირგვლივ მუდამ დროუამისვან გამოცდილი ხმელი ნიფელი.

**ინგლისურიდან თარგმნა
მადია ზაალიშვილი**

* ჩემამ — მოზრდილი, ჩველებრივ შავბუმბულიანი ფრინველი, იკვებება თევზით.
** orchil — გრძნეული, ვადოქარი, ქვეშეთის დედოფალი.

**ლანგონ კაპერის
მიწანარი**

პოლიტიკურ სამყაროს და გადაიყვანა ირლანდიული მითების მოვადებულ ნიაღში, ისევე, როგორც მეფე გოლი, რომელსაც დატოვა ზმძობის ველი და ტყეში გაიჭრა. იგიტის ადრეული პოეზია, რომელსაც „მეფე გოლის შემოხილობაც“ განეუთვნება, სიმბოლურ, მითოლოგიურ სამყაროში ტრინალებს. მეფე გოლის შემოხილობა და მისი საკრავის სიმბო-დნაწვევბა, შეიძლება ერთგვარი გაფრთხილებაც იყო იმ საფრთხის, რომელიც მოეცის პოეტს, მთლიანად რომ მოწოდება რეალობას და თავს მხოლოდ მითოლოგიურ, არქალ სამყაროს შფავრებს, ეს უკვე შემოხილობას ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, მხოლოდ მინაგან მგრძნობელობას დავმონო, იმ ბოლო ძაღს რომ განეყვება, რეალურ სამყაროსთან დამაკავშირებელი. ბოლო მისწვედ რეალურ სამყაროს, თუნდაც უფრო მაღალ და განყენებულ სამყაროსათვის, მეტისმეტად სამაშია, უფრო სწორად კი შემოხილობის ტოლფასია. თუცა იგიტის ადრეული შემოქმედება მაინც ვერ მოხყდა ირლანდიური მითების ფეხსებს და უამრავი მითოლოგიური სახე გააკოცხდა. მათგან ყველაზე თვალსაჩინო მაინც უნდა აღინიშნოს, რომელსაც იგიტსმა არაერთი სტრიქონი უტყენა.

კიფე ერთი რამ, რაც „მეფე გოლის შემოხილობასთან“ დავკვირვებით უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ მეფე გოლი შომღერალია. აიგუებს რა თავისთავს მასთან, იგიტის პოეზიას აიგუებს სიმღერასთან, იმ სიმღერასთან, რომელიც საესეა გზნებით, საესეა მღვდლავრ და მომჯადოებელი ეღერადობა სძლევს უზარლო რიტმს.

იგიტის ადრეული პოეზიაც სიმბოლოებით დატვირთული, მომჯადოებელი სიმღერებითი ეღერს.

2007 წლის 29 იანვრის
ლექსიონად



ნატა ვარადა

პირ იქით, სამყურავის სახლში — აღმოსავლეთი

ნათია ნაცვლიშვილის პოეტური კრებული

აიკაქ კო,
რა შირთალი ხარ, ჩემო სიყვარულო,
როცა ამდენ
მშვიერ შეზეერს
უნაყოფო ტყუებისკენ მიერეკები.

საკუთარ, განსაკუთრებულ განზომილებაში — გოგონა, ბაბუნავერსავეთ მსუბუქია და პაერს დაყვება.

გამზდარ მკლავებზე მეტროს ვაგონები აუკონინია-ლებია და სამყურასავეთ მარტოა და უბრალოა.

მის სამყაროში ცარცის თოვლი მოდის.
მისი მეგობრები — კუნძიკო და კუნასარა უნახესი არ-სებები არიან.

ერთგულება — აქ, მინის მოლოდინთან არის ვიგივე-ბული და ეს სიზმრისეული სიმსუბუქე, ყველაზე დიდი და-რდების და ლოდინებლა სევდის მატარებელია.

პირიქით — როცა ნიგინი გვარანაბობს, მკითხველი ხარ და გვერა მისი.

ნათია ნაცვლიშვილის პოეტური კრებული, ალბათ უფრო გზავნილია. გზავნილი გარე სამყაროსადმი, რომლითაც ერთმა ძალიან ფიქრინამა გოგომ მთელი გული გადაუშალა.

თეთრ ნივთს ხელში რომ აიღებ და პირველ ფურცელ-საც გადაშლი, სამყურას ნაადგები, სამყურა მარტოა და უბრალოა — გიმხვებს თვითონ სამყურა და ნდობაც თავისთავად წნდება.

ფურცლები თითქოს გაცოცხლებულ პერბაროუმს ნა-ბავს. ყველა ლექსი, ერთი რომელიმე ფოთლის ნეგატივია, თავისი განწყობით, ისტორიით, ხედვით. ტოტიდან მინამ-დე არსებული მანძილის, ნამის, ალბათ შეათასდემში, მისწრებელი განაფიქროთ.

აქედან იხლება აღმოსავლეთი..

სულსწრაფობა მოთმინებით უნდა ჩაანაცვლო. ფეხ-ისწერებზე დამდგარმა, ქრონილოგიის მიხედვით, სიზუსტით დანყობილ პატარა ამბებს, მიივით რომ არის აკინძული და ერთი სტროფიც რომ ამოაკლო ამოვარდნილი ქვასავით იყვრებს ის ადგილი, ფეხი და გულისცემა უნდა აუნყო და მიყუე, მიყუეები ამ სამყურას, რომელიც მარტოა და უბრალოა და თითქოს ერთ პატარა ჯადოსნურ სახლში შეაბიჯე და კარის გამოღებას და უღამაზესი, უსათუთესი არსებების შეხედვას ვედარ ასწრებ, მაგრამ ერთხელ თუ მოკრავ თვალს, იცი, რომ აღარასდროს აღარ დაივინყებ მათ. ისინი ბუმბულეებითი, პაერში მტერის ნაწილაკებით არსებობენ შენს გარემო და უხილავად გტეხიან.

აკი ასეც ამბობს:

გახსოვსრა ლამაზი სახლი გვექონდა,
სამყურების სახლი.
ჩვენ თვითონვე რომ ავაშენეთ მთვარის შუქზე
ძალიან მოულოდნელად.

ნათია სიჩუმის პოეტია. მისი ყველა ლექსი უბოძდ გესაუბრება. ეს უკავს ლოცვას გულში და თვალებით საუბარს უფალთან.

გახსოვსრა განსაკუთრებით ვცხოვრობდით
სამყურების სახლში.
შენ რომ საღამოს დაღლილი ბრუნდებოდი,
მე მშვიდ სადღის გახვედრებდი,
და შენს მუხლებთან მორჩილად მოკეცილი
ჩუმად გიკითხავდი ნერილებს,
რომელთაც მთელი დღე გწერდი.
ზაფხულობით ვამზეურებდი
ბაბუნავერების ოთახებს,
და მეზობელ ქიანჭელებთან ერთად
მდინარეზე ვავლებდი სარეცხს.
(„სამყურების სახლი“)

მე ვბრუნდებოდი უკან
ჩუმი,
სევდიანი,
და ნარვისფერი ნაკვალევით:
ამიენის წვიმა.

16 მაისი, 2005 წელი
(„ამიენის წვიმა“)

ნათიას სიჩუმეში სიმშვიდეა და აღმოსავლეთის უკიდურესი ფერადოვნება, მის ლექსებს უცნაურ სურ-ნელსაც კი აძლევს.

ის ორი უცნაური არსება, რომელიც ორი პოლუსიდან ერთადერთის, მზის სახლის ბინადრები არიან, მათი უჩინარი არსებობა, წამიერად გაფიქრებინებს, რომ სულელებთან გაქვს შეხება. სულელების სილუეტი ხელშესა-ხები და უკნიოც და კუნოსარაც, შენამდე მოტანილი ორი პატარა თავმესაფარია, თუ პირ იქით ვინმე უნდა ცხოვრობდეს, მათ გარემე ნარმოუდგენელია არსებობა.



პოეტის სიმარტოვებზე მითი შეიძლება დამისხვრეს კიდევ. თუმცა მე მინც ვფიქრობ, რომ პოეტის ერთ-სამეზბას ასე გამოხატვის ფორმასთან გვაქვს საქმე.

მე არავინ მყავს მენზე უფრო აღმოსავლეთით – ეს იმ დღეისას სათაურია, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ნათია ნაცვლიშვილის რეჟიველს.

აი, მაშინ კი ნამებისა ფრჩხილებიც რომ დაგვაცალონ, მინც არ გაეთქვამთ, რა ვთხოვეთ უფალს ამ გამჭვირვალე და უწყალო მინად ქცეული მინის სანაცვლოდ. მინც არ გაეთქვამ, რა გადავმალე იმ უარყოფით სინუშემში, საითაც მენ ხარ.

ასე უბრალოდ, საიდუმლოთი თანაზიარება, მთელი შენი არსებობით და არსებით, უზენაესთან და ერთადერთ შემოქმედთან – პოეტის ბედისწერაცა და არჩევანიც.

ეს ლექსი ნათიას პოეტური მოღვაწეობის მუა უერიოდს ეუთუთის ალბათ, რადგან ნიგნის ყველაზე საინტერესო მონაკვეთში, შუა ნანილშია მოთავსებული და კუნძუა და კუნსარასთან ერთად მთლიანად ნიგნის ტრექტორიას ცვლის. ეს ჰგავს დედამიწის მოძრაობს უფერად აჩქარებას, მთელი გრაფიკული სივრცის დაბზირალებას, როგორც ბავშვობის სათამაშო ბზირალა-ჩიკორი. გასოფთ ალბათ ეს სათამაშო. აი, ხელით რომ უნდა დააბზირალო და მერე ფორმას კარგავს ისე სწრაფად მოძრაობს. ის სიმშვიდე, რაც ნათიას ნიგნშია, უცნაურია მაგრამ ისეთ თავბრუს გებეჭვს და სხვა განზომილებაში გადაყვანარ, რაც არ უნდა ჩუმი იყო, როცა სათქმელი ასე ბევრია და თანაც განსხვავებული, ის მკითხველამდე აუცილებლად მიადნეწვს.

მე არავინ მყავს მენზე უფრო აღმოსავლეთით – ეს ლექცია. კონკრეტული პოეტის უზენაესისადმი აღვლენილი საუბრისას მოსული საოცარი განცდით ქალაქზე გამომტანილი სტრიქონები.

ეს ლექსი აბივითაა. კითხვისას მთელ შენს სულს მოიკვდა და ტრანსფორმირებასაც კი ახდენს.

ნათიას პოეზიიდან მისი ცოლების საკითხავი კიდევ უფრო განსხვავებულია.

გულწრფელობა და უბრალოება – აი, ის პოეზიისთვის მახასიათებელი თვისებები, რომელიც ნათია ნაცვლიშვილის ხელწერას, გინდაც განუშეორებლობას ქმნის. ცოლების საკითხავი, როგორც ვიცი, ნათიასთვის ძალიან მნიშვნელოვანი პუბლიკაციაა. ადრე დანერა, რომ ძალიან ბევრი თავისი ამბავი გაამთქვლა და ფიქრობდა კიდევ გამოუფინა თუ არა ფართო მკითხველისთვის, შემდეგ მეგობრების თხოვნით კონკურსზეც გაავაზენა და პირველი ადგილიც დაიმსახურა, მაგრამ მოთავარი ისაა, რომ ნათიას ეს ლექსი ერთ ძალიან კარგ ლექსს, ქმრების საკითხავს, რომელიც

ულრესად ნიჭირ პოეტს შალვა ბაკურაძეს ეუთუვის, ეზმინება და საოცარი ნასაკითხი ხდება, როცა იგი ქმრების საკითხავი და შემდეგ ნათიას ამ გულწრფელობას კითხულობ.

მამო ჩვეო, მასწავლე მათი სიყვარულისთვის ლექცია – ეს ფრაზა ამ უცნაური ლექსის კითხვისას გადაგაწყნებდა, თავისით მოგძებნის და აგეკვიტება და აღარც მოგასვენებს, მაგრამ იქნებ მიზეზ კიდევ, რომ ეს ლექსი, ცოლებისთვის დანერვილია, თუ როგორ შეიძლება სიყვარული ამ უცნაური „კანონიერების“ მოუხედავად და იქნებ, ყველაზე ნამდვილი სიყვარულის ფორმულაც უკანონობაა და დედამიწის ზურგზე მხოლოდ პოეტს შეუძლია უყვარდეს ასე, ყოველგვარი ზედმეტი ყოფიერების და გარდამეხლეების მოთხოვნების გარეშე, ასე გულწრფელოდ.

მამო ჩვეო, გადარჩინე ვინც შეგიძლია, ვისაც უჭირს ამ რეალობის პატარა ნამცვეი ამოფაროს

საკუთარ ილუზიას, და საკუთარი სიყვარული დაიჯეროს.


– და ყველა ქალის ისტორიის სიტყვებიც ალბათ ეს არის, როცა უხმოო უფალს და სულზე დამჩნეულ ნაბეჭებებზე მამა-შვილოდ უყვები. როცა მეტი არც არავინაა მთელ დედამიწის ზურგზე დარჩენილი, რომ ადევ და მოუყვე, ამ სამამულებსომრებულ თვითმკვლელი თევზების სიმრებზე და ისე გამოდის, რომ მხოლოდ ბავშვობისას ნატკენი ფეხისგულებების გამო ტირილია შენი ერთგულების თუ გულწრფელობის დასტური.

და უსიჩქებლოდ დაეპარდები, რომ აღარასოდეს მოვიპოვებ სხვისი ცოლების კუთვნილ სურვილებს, და როცა ეს სურვილები შუშის ნამსხვრევებით დამკანრავენ, აღარასოდეს ვიტყვებ ისე მოთქმით და ხმამაღლა, როგორც ბავშვობაში, ველოსიკედოდან გამდმოარდნილი დავტიროდი გადაყვეფილ და სისხლში მუხლებს.

ნათია ნაცვლიშვილის პირველი პოეტური კრებული, შეიძლება ითქვას, რომ პოეტად დაბადებული ადამიანის ლექცედაც ნამოცდენილი უღამახესი ლექსების ერთობლიობაა.

როცა ნიგნე გკარნახობს პირიქით, უნდა ირწმუნო, რომ პირ იქით აღმოსავლეთია – ეს დედამიწის ერთ უკიდურეს პოლუსზე არსებული პატარა კუნძულია, სადაც პოეტი სახლობს და სადაც ბამბუკებისგან ნურვილად დანწული ფარდები აქვთ ბაზუანფერების ოთახებს, სადაც ლილიებზენ მთავარს შექს და თამბო ბალახის სურნელს უნანვენ.

ნათიას ნიგნე პაერთი დატუმბულ უღამაზეს ფერად ბურთის ჰგავს. ამ ბურთის თუ მოასწარი და ჩააველ ხელი, ვერც კი მოასწრებ გაფიქრებას, ისე ასცდები დედამიწას და გრავიტაციაც მითად იქვეცა.



გი დე მოპასანი

ყელსაგამი

იგი იყო ერთ-ერთი იმ ლამაზ და მომხიბვლელ გოგონათაგანი, რომელიც თითქოს ბედის შეცდომით ხელმოკლე ოჯახში დაიბადა. არ გააჩნდა მზითვენი, იმედი, არანაირი საშუალება იმისა, რომ გაეცნო და შეეყვარებოდა მდიდარ და გამორჩეულ კაცს. ამიტომაც იტულებული ვახდა ცოლად გაჰყოლოდა სახალხო განათლების სამინისტროს დაბალი თანამდებობის მოხელეს.

ქერიფასი სამკაულების უქონლობის გამო გოგონა სადავად გამოიყურებოდა. სამწუხაროდ, გულგატეხილი იყო. რადგან ქალებს არც საზოგადოებრივი მდგომარეობა აქვთ და არც რასა, თავიანთი კეთილგანწყობა, სიღამაზე და ხიბლი გვარიშვილობადაც ყოფილი და წადებებადაც.

აღლო და გონებამახვილობა მათი ერთადერთი იერარქია, რაც დაბალი ფენის ასულებს საზოგადოების მაღალი წრის ქალბატონების უთანასწორებს.

გამუდმებით იტანჯებოდა, ფიქრობდა, ყველაინარი ფუფუნებისთვის ვარ დაბადებული. განიცდიდა ღარიბულად მონათობილ ბინას, ღარიბულ კედლებს, გაცვეთილ საფარძლებს და მდიდარ ქსოვილებს. ეს ყველაფერი სტანჯავდა და აღელვებდა, რაც შეიძლება მისივე ფენის სხვა ქალისთვის არც კი ყოფილიყო შესაძლებელი. პატარა ბრეტონელი გოგონას დაწახედა, ვინც თავგანდაბლად ეწეოდა მოკრძალებული ოჯახის საოჯახო საქმეებს, მასში უნუგეყო სიზარტული და ოცნებებს აღმრავდა.

იგი ოცნებობდა მუდამო, აღმოსავლური შპალერით გაკრულ და ბრინჯაოს მაღალი ტორშერებით შარვალში გამორწყობილ მსახურს, რომელიცაც სითბოს გამო ძლი მორეოდდა და საფარქელში მასძინებდათ. ოცნებობდა ძველი აბრეშუხით შორთულ დიდი მისაღებზე, დახვენილ ავეჯზე, რომელიც განყოფილი იქნებოდა ფსადუდებელი სამწვენისებით, და პატარა, კოხტა ოთახზე, სადაც თავის უაღლოს მეგობრებთან ერთად საათობით ისაუბრებდა ცნობილ და გამორჩეულ მამაკაცებზე, რომელთა ყურადღების მიპყრობაზე ყველა ქალი ოცნებობს.

საბილობისას, როდესაც მეუღლესთან ერთად მიუჯდებოდა მავიდან, რომელზედაც სამი დღის გაუხამებელი სუფრა იყარა, და როდესაც მისი მეუღლე გამყოფიდა საბითი წინიანის ქურჭელს თავს ხდებდა და ამბობდა: „რა კარგი ბულოონია, არაფერია ამაზე უკეთესი“; ოცნებობდა დახვენილ სადილზე, ბრწყინვალე სასაბილო ვერცხლულზე, კედლებზე გაკრულ ქსოვილზე, რომელზეც გამოსახული იქნებოდნენ გამორჩეული გმირები და ზღაპროული ტყის ფრინველები. ოცნებობდა ასევე ქერიფასი ქურჭლით შორთულ გამორჩეულ კერძებზე, მავიდანზე სენიქსის ღმინით გადაჭრულებულ თავაზიან სიტყვებზე...

არ გააჩნდა არც ტანსაცმელი, არც სამკაულები, არაფერი, მას კი მხოლოდ ეს უყვარდა. სურდა ყოფილიყო

სასურველი, მომხიბვლელი, მაცდუნებელი და სანატრელი. ჰყავდა ერთი მდიდარი პანსიონის მეგობარი, რომლის მონახულებაც აღარ სურდა, რადგან დაბრუნებისას დადრის, სინანულსა და იმედგაცრუების გამო მთელი დღე ტიროდა.



ერთ საღამოს მისი მეუღლე შინ მდიდარი იერიით დაბრუნდა, ხელში განიერი კონფერტი ეჭირა.

— შენთვის რაღაც მაქვს, გამომართვი, — უთხრა მან. ქალმა საქაროდ გახია ქალაღი და კონფერტიდან ბართი ამოიღო, რომელზეც ეწერა:

„სახალხო განათლების სამინისტრო და ქალბატონი ქორე რამპონო, ბატონ და ქალბატონ ლუაზელს გთხოვთ პატივი დაგვდლოთ და მოზრძანდეთ წვეულებაზე, რომელიც გაიმართება ორშაბათს 18 იანვარს, სამინისტროს ოცლებში“.

იმის მაგივრად რომ გახარებოდა, როგორც მისი მეუღლე იმედოვნებდა, მოსახლევი გაბრუნებულმა მოისროლა მაგიდაზე და ჩაიჩურჩულა:

— და მერე რა ვუყო ამას? — მეგონა გაგებარდებოდა, მენ ხომ არსად დავხიარ, ახლა კი მშვენიერი შემთხვევა გეცემდა. ასე არ არის? ყველას უნდა მოსანვევის მიღება, მაგრამ ყველა თანამშრომლისთვის არ მიუციათ. ეს დასაფასებელია. იქ ყველა ოფიციალური პირს ნახავ.

ქალი გაბრუნებული უყურებდა ქმარს და განვიწყვილებულმა განუცხადა:

— რომ ნავიოდ, რა უნდა ჩავიცვა? ქმარი არც დაფიქრებულა ისე ჩაილულულა: — კაბა, რომლითაც კინოში დავხიარ, მე ძალიან მომწონს.

გაოცებული და თავგზაბანული ქმარი ხედავდა, რომ მისი ცოლი ტიროდა. ცრემლი თვალის კუთხიდან ტუჩის კუთხისკენ ნაზად ჩამოვარდა.

— რა დაგემართა? ქალბატონმა ლუაზელმა სველი ლოყები შეიმოწალა, თავს ძალა დაატანა და მშვენი ხმით უპასუხა:

— არაფერი, უბრალოდ ჩასაცმელი არ მაქვს და ამის გამო არ შემიძლია წვეულებაზე წასვლა. ეს მოსანვევი რომელიმე თანამშრომელს მიეცი, რომლის მეუღლაც ჩემზე უკეთესად იქნება ჩაცმული.

ბატონი ლუაზელი შეწუხებული ჩინდა.

— მომისმინე მადილდა, რა ელირება შესაფერისი ტანსაცმელი, რაიმე უბრალო, თანაც ისეთი, სხვა დროსაც რომ ჩაიცვა?

მატილდა დაფიქრდა, დაიანგარიშა ის თანხა, რომლის დასახლებებისას ხელმოქმირნე მოხელისგან სასწრაფო უარს და ნამოძახილს არ მიიღებდა. ბოლოს ყოყმანით მიუგო:



— ზუსტად არ ვიცი, ვფიქრობ 400 ფრანკად რალაცას შევუღლები.

ბატონი ლუაზელი ოდნავ გაფიქრდა, რადგან თანხის ამ რაოდენობას იგი თოფის საყიდლად ინახავდა, მომავალ ზაფხულს, რამდენიმე მეგობართან ერთად, ტორო-ლეზე სანადიროდ აპირებდა წასვლას.

— კარგი, მოგცემ 400ფრანკს და ლამაზი კაბა იყიდე; — უთბრა მატლიდას.

წვეულების დღე ახლოვდებოდა, ქალბატონ ლუაზელს ჩასაცემელი უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ მაინც მოწყენილი და დარდიანი ჩანდა.

— რა გჭირს, მესამე დღეა რაც უცნაურად გამოიყურები; — ჰკითხა ერთ საღამოს ქმარმა.

— სამკაული არ გამაჩნია, რომ გავიკეთო. დარბიული შესახებდაობის ვიქნები სხვებივით. აი, რა მანუბებს. მირჩევნია სულაც არ წავიდე ამ წვეულებაზე.

— შეგიძლია ბუნებრივი ყვავილები დაიმარგო, ძალიან ლამაზია ამ სეზონზე. ათ ფრანკად ორ ან სამ შესანიშნავ ვარს იყიდი.

— არა, არაფერია იმაზე შეურაცხყოფელი და დამამცირებელი, რომ მდიდარ ქალბატონებს შორის საცოდავად გამოვიყურებოდე.

უფერად ბატონმა ლუაზელმა ნაშოიყვირა:

— რა სულელი ხარ, ნაი შენს მეგობარ ფორესტიესთან და სთხოვე რაიმე სამკაული გათხოვოს. მასთან ხომ საკმაოდ ახლოს ხარ, რათა დაგტე-მაროს.

მატილდამ სიხარულისაგან შეტკივლა:

— მართალია, ამაზე არც მიფიქრია. მეორე დღეს, წავიდა მეგობართან და თავისი გაჭირვება უამბო.

ქალბატონი ფორესტიე, სარკიანი კარადისკენ გაემართა, განიერი ზარდაბმა აიღო, გახსნა და ქალბატონ ლუაზელს უთხრა:

— აიჩიე ძვირფასო.

მან ვერ სანაფურები ნახა, შემდეგ მარგალიტის ყელსაბამი, ვენეციური ჯვარი, ოქროს და ძვირფასი ქვების საუცხოო ნაკეთობანი. ყელსაბამებს სარკის წინ ისინჯავდა, ყყყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, არ ეთმობოდა, მეგობარს გამოუდგებოდა ეკითხებოდა, სხვა აღარაფერი გაქვსო?

— მოძებნე, არ ვიცი, რა შეიძლება მოგეწონოს.

ანაზდად, ატლასის შავ კოლოფში შესანიშნავი ბრილიანტის ყელსაბამი ნახა. მისი ნდომით გული უჩვეულოდ აუძვრდა. სამკაულის ხელში აღებისთანავე ხელები აუკანკალდა. ყელსაბამი ყელზე მოიხვია. საკუთარი თავით თვითონვე აღფრთოვანდა, შემდეგ მორიდებით ჰკითხა:

— შეგიძლია მხოლოდ ეს მათხოვო? ეს და მეტი არაფერი...

— რა თქმა უნდა.

იგი კისერზე ჩამოეკიდა მეგობარს, ჩაებუტა და ძვირფასი სამკაულით დაბრუნდა შინ.

წვეულების დღეც დადგა. ქალბატონ ლუაზელს წარმატება ხედა. იგი ყველაზე ლამაზი იყო, ელეგანტური, მომხიბლავი, მომღიმიარი და სიხარულისგან გაგოქებული. ყველა კაცი მის უყურებდა, მის სხეულს კითხულობდნენ, ცდილობდნენ გაეცნოთ. კაბინეტის ყველა ატაშე მასთან ცეკვას ცდილობდა. მინისტრმაც შენიშნა მატლიდა.

სიმთვრალისაგან გატაცებით ცეკვავდა, სიამოვნებისგან თავებრუნებულად აღრფერზე ფიქრობდა. სილამაზის ტრიუმფში ცურავდა, იმ ბედნიერების ღრუბლებში, რომლებიც ამდენი პატივისცემისგან, თაყვანისცემისგან, გავლიძებული სურვილებისა და სრული გამარჯვებისგან შექმნილიყო და რაც ასე წაზად ესალბუნება ქალების გულს.

მათ დღის 4 საათისთვის დატოვეს ოტელი. მის მუღულეს, შუა ღამიდან მოყოლებული, პატარა ოთახში ეძინა სამ სხვა მამაკაცთან ერთად, რომელთა ცოლებიც მშენიერად ერთობოდნენ.

ძველი მოსაცემელი მატლიდას მხრებზე მოახსია, ყოველდღიური ცხოვრების უბრალო სამოსი, რომლის უბრალოება არ შეფერვებდა წვეულების სამოსის ელეგანტურობას. მატლიდა გრძობდა ამას და გაქცევა უნდოდა, რათა არ შეეშინათ მდიდარ ქალბატონებს, რომლებიც ძვირფას ქურქში გახვეულიყვნენ. ბატონმა ლუაზელმა შეაჩერა: დაიცადე, გარეთ შეტყვივდება, ეტლს მოიყვანო, — მაგრამ მატლიდა მას აღარ უსმენდა, კიბე სწრაფად ჩაირბინა. როდესაც ქუჩაში გავიდნენ, მანქანა ვერ ნახეს და ძებნას შეუდგნენ. გზაზე მომავალ მეეტლეს ხმაძალდა უყვიროდნენ, მაგრამ არაფერი გაუჭერათ.

სიცივისგან აკანკალებული და იმედგაცრუებული სენისკენ დაეშენ. ნაპირზე წააწყდნენ ძველ, ორადგი-



მატარი მალბაზ იაშვილი



ლიან კარტასს, რომელსაც პარიზში მხოლოდ ღამით ნახათ გამოსულს, თითქოს დღისით თავიანთი უბადრუკობისა სცხვივნიათ.

კარტასს ისინი მარტირის ქუჩაზე, სახლის კარამდე მიიყვანა. მონყენილები ავიდნენ შინ. მატყლდასთვის ეს დასასრული იყო, ბატონი ლუაზელი კი ფიქრობდა, 10 საათზე სამინისტროში უნდა ეიყო.

მას შემდეგ, რაც მატყლდამ კიდევ ერთხელ შეათვალიერა საკუთარი თავი სარკის წინ, მოსაცემელი მხრებიდან მოიშორა და უეცრად იცვალა, ყელსაბამი აღარ ეკეთა!

— რა დავებართა? — ჰკითხა მუღუღემ, რომელიც ნახევრად გაბდილი იყო.

მატილდა გაგიჟებული მიბრუნდა მისკენ.

— ქალბატონ ფორესტიეს ყელსაბამი აღარ მატყს.

გაოგნებული და გამბტერებული ნამოქრა ბატონი ლუაზელი.

— რა?.. როგორ?.. შეუძლებელია!

ყველგან ეძებდნენ, კაბის და მანტის ნაკეცებში, ჯიბეებში, მაგრამ ვერ იპოვეს.

— დარწმუნებული ხარ, რომ ნველთების დატოვებისას ჯერ კიდევ გეკეთა? — ჰკითხა ქმარმა.

— კი, როგორ არა, სამინისტროს ვესტიბულში შევისწროე.

— ქუჩაში რომ დაგეკარგა, დეარდნის ხმას გავიგონებდით. ფაქტობრივად იყოს, თუ ჩაკეტიდა.

— ზო, აბაღათ. ნომერი დომინახსოვრე?

— არა, არც მუნ შევიხედავს?

— არა.

თავზარდაცემელები უყურებდნენ ერთმანეთს. ბატონმა ლუაზელმა ჩაიკვივა და თქვა:

— ნავალ, იმ მამილს დავთავაღიჯებ, რომელიც ფეხით გამოვიყარეთ, იქნებ ვიპოვო.

მატილდა საღამოს კაბადი დარჩა. დანოღის თავიც აღარ ჰქონდა, გაყინული, ბუნელ თათბინი სკამზე ჩამოყვდა.

მისი მუღუღე დღის 7 საათისკენ დაბრუნდა, გერავარი ნახა. ყველგან მივიდა, პოლიციის პრეფექტურაში, ფურცლებების რედაქციაში, რათა ჯილდოს შესახებ გაეცხადებინა, ტაქსების კომპანიაში, ყველგან, სადაც ოდნავი იმედი ჰქონდა, რომ იპოვიდა.

დაბნეული და სამინილო უხედურების ნინამე მდგარი მატყლდა მთელი დღე ელოდებოდა. ბატონი ლუაზელი საღამოს გაფიქრებული დაბრუნდა; გერავარი იპოვა.

— მისწერე მუნს მეგობარს, რომ ყელსაბამს საკეტი გაუფუძღა და გაკეთება სჭირდება, ეს დროს მოგვცემს, რომ ძეხნა გაეგარძელოთ, — თქვა მან.

მატილდამ ქმრის კარნახით დანერა წერილი.

ერთი კვირის შემდეგ ყველანიარი იმედი გადაეწურათ. ნერეულობისგან ხუთი წლით დაბერებულმა ლუაზელმა გამოაცხადა:

— რამე უნდა მოვიფიქროთ, რომ ეს სამკაული შეეცვალოს.

მეორე დღეს აიღეს ყუთი, სადაც ის სამკაული იდო, და მიუხედავად იუველიერთან, რომლის სახელიც ყუთში იპოვეს. იუველიერმა თავის დაუთარში ჩაიხედო:

— არა, ქალბატონო, მე არ გამიყვინდა ეს ყელსაბამი, მხოლოდ კოლოდი იყიდეს ჩემგან.

იუველიერიდან იუველიერთან დადიოდნენ, მსგავს ყელსაბამს ეძებდნენ, იკონებდნენ ყოველ ნერილმანს. დარდმა და მწუხარებამ ორივე დაასწულა.

პალ — რუაილის ერთ ბუტიკში მათ ნახეს ბრილიანტის კრილოსანი, რომელიც ძალიან გავდა იმ ყელსაბამს. ეს კრილოსანი 40 000 ფრანკი ღირდა, მაგრამ 36 000 ფრანკად მისცემდნენ. იუველიერის სთხოვეს, სამი დღე შეენახა ეს სამკაული და არ გაეყიდა. პირობა დადეს, რომ 34 000 დაუბრუნებდნენ, თუ თებერვლის ბოლომდე იპოვიდნენ იმ სამკაულს.

ლუაზელს მამის დანატოვარი მხოლოდ 18 000 ჰქონდა, დანარჩენი თანხა კი ისესხა. ბატონი ლუაზელი კარდაკარ დადიოდა ფულის შესაკრებლად, იღებდა თამასუკებს, წერდა ხელწერილებს. მომავლითა და იმ უბედურებით შემხმებულად, რომელიც თავს დაატყდა, პირობის შესრულებაზე აღარც ფიქრობდა, ისე ანერდა ხელს. თანხის შეგროვების შემდეგ ახალი ყელსაბამი იყიდა.

როდესაც ქალბატონმა ლუაზელმა მეგობარს ყელსაბამი მიუტანა, მან ცვიი ხითი უთხრა:

— შეგძლოა უფრო ადრეც მოგეტანა, რადგან შეიძლება დამჭირებოდა.

მას ყუთი არ გაუსწინა, რამაც მეგობარი ჩააფიქრა, თუ იგი შემამწედა, რომ სამკაული შეცვალა იყო, რას იფიქრებდა, რას ეტყოდა? ქურდად არ ჩათვლიდა?

ქალბატონმა ლუაზელმა იგემა კომპარული გაჭირვება, თუმცა მან გმირულად მიიღო გადაწყვეტილება, საჭირო იყო ვალის გადახდა და გადაიხდოდა კიდევ.

დაითხოვეს შინამოსამახურე, გამოიცვალეს ზინა და პატარა მანხარდა იქირავეს სახურავის ქვეშ.

მატილდამ გამოსცადა ფრჩხილები ფხეცად ცხინაბის ქაბებში ფსკურს. საპნადა ჭყუჭყან თეთრეულს, პერანგებსა და ჩერებს, შემდეგ მათ თოქზე აპრობდა.

ყოველ დღეს უზომი ჩაპქონდა ნავაი, ამოქონდა წყალი, თან თითოეულ სართულზე ჩერდებოდა და ისევე ნებადა.

მედიანოსავით ჩაცმული მიდიდა მუხლესთან, მედუქნესთან, ყსაბთან, ვაჭრობდა, თან გამყიდველებს ეხუბებოდა და თან თითოეულ სუს და მაკანკალებდა.

ყოველ დღე უნდა გადაეხდათ თამასუკი, შეეფიქრათ ახალი ხელწერილები, დრო უნდა მოეკათო.

მისი ქმარი მუშაობდა. საღამოებით რომელიმე კომერსანტის ანგარიშებს ანესტრავებდა, ღამით კი ასლებს აკეთებდა, გვერდს ხუთ სულ.

და ეს ცხოვრება ათ წელიწადს გაგრძელდა. ათი წლის მინორულს მათ ყველაფერი ვასტუმრებელი ჰქონდათ. ვახშის სარგებელს დამატებული პროცენტების სარგებელი.

ამ ყველაფრის შემდეგ ქალბატონი ლუაზელი მოხუცივით გამოიყურებოდა. ძლიერი ქალი უხეში და მკაცრი გამზდარიყო, ღარიბი ოჯახის ქალს დამსჯავსებოდა და ვარცხნილი, მოუნესრიავებელი, ზოლიანი ქვედატანით, ნიოელი ხელბითი.

ზოგჯერ, როდესაც ქმარი სამახურში იყო, ფანჯარასთან დაუდებოდა და ფიქრობდა იმ საკარნავალო სულანოზე, როდესაც ისეთი მშვენიერი და გალალბული ვახლდათ. რა იქნებოდა, თუ იმ ყელსაბამს არ დაკარგავ-



და? ვინ იცის!.. რა ცვალებადია ცხოვრება, რა ცოტაა საჭირო, რომ ან აშენდე ან დაიციე!

ერთ კვირა დღეს, როდესაც მანზელიზე შეიკრიბა, რათა მთელი კვირის საქმიანობით გადაღლილს დაესვენა, შეამჩნია ქალი, რომელიც ბავშვს ასეირნებდა. ის ქალბატონი ფორესტიე იყო, ისევე ისეთი ახალგაზრდა, ლამაზი და მომზობილელი.

ქალბატონი ლუხაშვილი დამუნჯდა, მისულიყო მასთან სალაპარაკოდ? რა თქმა უნდა, ახლა, როდესაც ყველაფერი გადაიხადა, გამოიტყდომოდაც გამოუტყდებოდა, რატომაც არა...

მიუახლოვდა.

— გამარჯობა, თანა.

თანამ საერთოდ ვერ იცნო მატყლდა, გაკვირვებული იყო ბურთუა ქალის ასეთი შინაურული მიმართვით. ჩაიჩურჩულა:

— ქალბატონო, გეშლებათ.

— არა, არ მეშლება, მე მატყლდა ლუხაშვილი ვარ.

მეგობარს ყვირილი აღმოხდა.

— ოჰ, ჩემო საბრალო მატყლდა, როგორ შეცვლილხარ.

— ზო, მას შემდეგ, რაც არ გინახივარ, მძიმე დღეები გადავიტანე, ბევრი გაჭირვება შემხვედა და ეს ყოველივე შენს გამო!..

— ჩემს გამო?.. ეს როგორ?

— გახსოვს ის ბრილიანტის ყელსაბამი, შენ რომ მათხოვე, სამირისტროს წვეულებაზე წასასვლელად?

— კი, რა თქმა უნდა, მერე?

— ის ყელსაბამი დაეკარგე.

— როგორ თუ დაეკარგე, ხომ დამიბრუნე...

— შე სხვა ყელსაბამი მოგიტანე, მისი მსგავსი, და ათი წელი მის საფასურს ვიზღი. ალბათ ხვდები, რომ ეს ადვილი არ იყო ჩვენთვის, ჩვენ ხომ არაფერი გაგვარნდა, როგორც იქნა დამთავრდა ეს ყველაფერი და ძალიან კმაყოფილი ვარ.

ქალბატონი ფორესტიე შედგა.

— შენ ამბობ, რომ ბრილიანტის ყელსაბამი იმიტომ იყავი, რათა ჩემი შეგეცვალა?

— დიხ, და შენ არც კი შეგინიშნავს, არა? — მატყლდა ამავი და მაიამიტო გამომეტყველებით იღიმებოდა.

აღუღებულმა ფორესტიემ მას ხელზე ხელი მოკიდა და უხიხა:

— ჩემო საბრალო მატყლდა, ჩემი ყელსაბამი ხომ უბრალო იყო. მხოლოდ 500 ფრანკი ღირდა!

ფრანგულიდან თარგმნა
ბჰანცა გოგაჯიშვილი

პოეზიის მერილიანები



ვაჰარი აიდუნაშვილი

ბედნიერება

ჩემს ბედნიერებას ვწერ ერთ ფურცელზე და მხოლოდ შემდეგ ვეძლევი თვალმას. ფურცელი წიგნში, ხოლო წიგნი წიგნების შორის გადავიანებ. კი, ნუგეშია ესეც ერთგვარი, რომ არ დაეკარგავ ბედნიერებას და დილისთვის ისევ ვიბედნიერებ.

თუმცა დილაზე მიმაინწყდა, რომელ წიგნში შევინახე ბედნიერება და მას აქეთ ბედნიერებას წიგნებში ვეძებ.

პარდი

ვარდს მაგონებს მისი სახე: შემიზნისას თეთრი არის ავადობისას ყვითელია. გახარებისას მოვარდისფრო, შეგვარებისას კი ნიეთლი.

ფუტკარი და ყვავილი

ერთ ყვავილს ფუტკარი დააჯდა ნაზად, ყვავილი მეტად ლამაზი იყო, მაგრამ მე ფუტკარი შემეყვარდა...

ყვავილის მონყვეტას არ ვისურვებდი, მაგრამ ვერც უფუტკაროდ გაძლებდი, ვიცი. ცხადია, ფუტკარი ყვავილს ეტრფოდა



და ყვავილს თუ ნაეტიანდი,
ნამომყვებოდა ისიც,
ამიტომ
ყვავილი ყუნს მოვანყვიტი,
არ დაუინდე მისი ლამაზი სიცოცხლე.

სხვა ყვავილზე გადაფრინდა ფუტკარი უცებ,
მე კი გავმრი, უსულო ყვავილით ხელში გავმრი.

არა, ეს გრძნობა
არ ყოფილა თურმე ტრფიალი...
მიყვარსო – მეთქი და სატრფოს კი
ყვავილი დაფუჭანე.

ლოდინი

გემები ზანტად სცილდებიან ნაემისადგომებს
ელმავლები ნამისნამად მოპქრიან ვაგ ზლად.

მე ნაესადგურში დაგემშიდიობე
და სადგურისაკენ ვიჩქარი ახლა.

ფარი

შენი თვალების ფერი იკითხეს,
ვერ ვუპასუხე.
როს ჩემი თვალის თვალისამზერიდან
შენი თვალების ფერი დავითვალცხადე, -
სნორედ იმ ნამს
უცებ ისეთი დამეცა ზაფრა,
გონს ვერ მოსულმა
გაურკვევლობის სქელ ბურუსში გავშალე აფრა.

ქიდილი

ჩემი დუმილი შენ გაიყვის
გაიგო იქნებ.
ჩემი თვალები შენ მოგჯაჭვიან,
ჭიყვარდე ეგებ.
ქიდილით კი თავს ვეჭვიდები,
ნუ ჩაურევი.

ჩაგბე

ტრფობას ვეყმეთ, ვეთაყვანეთ,
„მე“ დავტოვეთ, „ჩვენად“ ვვანეთ.

მგზავრობა

ჩემში დანყებული
და ჩემშივე დასრულებული მგზავრობით დავილაღე.
დალლილობის ამოსართელად
ქვაზე დავეყეტი.

ვხედავ, თანაბარ სიმორეზე ვარ
სანყის და სასრულ ნერტილებს შორის.
თაბოლო ხვედრი ჩემგან შორს შეყრილან
ერთ ნერტილში.
და მივხვდი რომ, კი არ სრულდება,
ახალი მგზავრობა იწყება ყოველი ნერტილიდან.

ნაბიჯ-ნაბიჯ

საესე მთვარემ
გზა გადამილობა,
შემოვუარე.
გამომორებულს
მზე შემომხვდა
და შენკენ ნამოსულე
ჩაეფერფლე
მე ნაბიჯ-ნაბიჯ.

პველა

ლაშეები, როცა არ მეძინება
ჩემს მშველელად მოპეტელე
ასი ცხვარი მყავს:
ლურჯა,
ცისფერი,
ზიპზიპი,
თოფქურიუქი,
ჭრელა,
კეთილო,
შეთვალა,
მძინარა.
მძინარას შემდეგ, მყისვე ვიძინებ.
ამ ასის გარდა სხვების სახელები არ ვიცი.

საკოდიშო

გული თუ გაგიტებე
მაპატიე
მიგ ჩახედვა მინდოდა.

თურქულიდან თარგმნა
ოქტაბი ქაზუმოვა





ხელოვანის პატი საპოეზიო

სახლში კაიკი არა გვაქვს (სო, - ნერს თავის დღიურში (1981 წლის 3 აპრილი). მერე დასძენს: გუშინ მოსენერგოდან გვეხება შიკრიკი და კატეგორიულად მოითხოვა მუქის გადასახადის გადახდა. მიდი და უმტკიცე, სახლში კაიკიც არა გვაქვს.

განაგრძობს: ხევა ჩემი დაბადების დღეა. ლარისა ურეკავს ნაცნობ-მეგობრებს, არ გვესტუმროთ, დაბადების დღეს არ ვიხდითო. აგერ, მოვიდნენ „მოსენერგოდან“ და მუქი გამოგვირთეს“ - აქ დამონიმბულ ტექსტთა ავტორი გახლავთ გამოჩინული კინორეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი.

ენა როგორ მოგაბრუნდება, რომ „საბჭოთა კინორეჟისორი“ უნდოდ მას, მაგრამ ამ ცნებას ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობა ექნებოდა, სრულიადაც არ იგულისხმება მსოფლმხედველობა და სულისკვეთება.

ლამის მეთხედის საუკუნის მანძილზე ტარკოვსკი თავის უბის ნიგაჩეებს ასე ასათაურებდა: „მარტივროლოგი“.

როდესაც 49 წლის კინორეჟისორი, შემოქმედი მთელ კინოსამყაროში განხორციელებული ფილმებისა, დაბადების დღეს ვერ იხდის უკაბიკობის გამო და, ყველა სიკეთესთან ერთად, შუქს გამოართავდა, როგორც ურს გადაამბედეს (თანაც, თუ გახსოვთ, რაოდენ მიზნერული იყეს ეს გადასახადი ათასჯერის ნეულე საბჭოთა კავშირში!), ხევა რა უნდა დარტყმა მისი ცხოვრების დღიურებს, თუ არა „მარტივროლოგი“?

იტალიაში ემიგრირებული ტარკოვსკის უბის ნიგაჩეები ინახებოდა ე. წ. ფლორენციის არქივში. ამასწინათ ნიგნად გახმისცეს მოსკოვში. აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ნაადრევი იყოს მისი გამოქვეყნება, ვინაიდან იქ გვხვდება ავტორის მიერ თავისი კოლექციის მკვებე და პირუთენელი დახასიათებანი, მხოლო არაერთი მათგანი დღესაც ცოცხალიაო.

ავილით თუნდაც ერთი ნერილმანი ფაქტი, სამტყობა ყოფა-ცხოვრებას რომ უხება.

1970 წლის 7 აგვისტოს ტარკოვსკის შვილი შექმნა. მიმდინარეობს „ანდრეი რუბლოვის“ გადაღება. გადაღებები ვგუფიდან თითქმის არავის მიულოცია. დაპირებს საზიაროდ იყიდონ საბაჟეშო ეტლი. ცნობილი კინოოპერატორი ვადიმ ლისოვი, მეგობარი ტარკოვსკისა, თავის გაცხებას ვერ მალავს: „რატოვსკი ასეთი ძვირფასი საჩუქარი?“ (ჩანს, მასაც უკაბიკობა სჭირს).

იმევე წლის 1 სექტემბრის ჩანანერიდან: „ძალიან მინდა, რომ „საბჭოელი“ ვაჩვენო სოლენციცის. კარგე მერაღალია და უნიარეს ყოვლისა - მოვაღებე. ცოტა არ იყოს, გამოროტბულა, რაც საყვებით გასაგებია, თუკი განსჯებით მას, როგორც ადამიანს, მაგრამ უფრო ძნელია გაუგებოთ, როგორც მწერალს“.

ტარკოვსკი პირდაპირ ათიამინო ურტყამს! ზუსტი ვერადტქი გამოუტანია სოლენციცის მისამართი. ოღონდ იქვე დასძენს, რომ პიროვნება მისი გმირულია, კეთილმოზილური და სტოკოური.



ანდრეი ტარკოვსკი

ლას იტყვი მწერალზე?
და აი, 1984 წლის მარტი. ემიგრაციაში მყოფ სოლენციცის თავის უნიარეზო („ვესტნიკ“) გამოუქვეყნებია ქვებრთილთა განმარტებული სტატია ასევე ემიგრაციაში მყოფი ტარკოვსკის „არუბლოვზე“.

ამამდე სად იყო, ნერს გაოგნებული ტარკოვსკი. თავს დამეხსა სწორედ ახლა, როცა ის დედუ მე დღემდე ვარო (ალბათ გულისხმობს სამედიცინო პრობლემებს).

და გულისტკივლით ასკენის: „ნამდვილად არ მეგონა, რომ სოლენციცინი აღმოჩნდებოდა ესოდენ უგუნური, ბოლშოანი, შურიანი და, რაც მთავარია, არაკეთილსინდისიერი“.

ვინახავთ თქვენ სტოპლევიზი? უთუოდ გავახსენდება მძლეონონობის ეს სახეობა, როდესაც აღსუნახე, რამდენ დამბოკლებას აწედეზოდა ტარკოვსკი თავისი ყოველი ფილმის გადაღებისას და ნეაღებუნეაღებოთ ეკრანზე გამგებისას (თუ დამგებისას?) - მთელი ოცი წლის განმავლობაში. სტოპლევიზი აბა აქ რა მოსატანია!

კინორეჟისორის ტრადიციული ცხოვრება ტრადიციულადეე მთავრდებოდა - უკურნებელი სნეულება და ნაადრევი სიკვდილი.

1985 წლის ჩანანერი: „ადამიანი ცხოვრობს და მან იცის, რომ ადრე თუ გვიან მოკვდება. მაგრამ არ იცის - როდის და ამიტომაც ეს მომენტია გადააქვს გაურკვეველი დროით, რაც ეხმარება იმაში, რომ იცოცხლოს. მე კი ამჟამად ვიცი, როდის მოუკვდები და ველარფერი დამეხმარება იმაში, რომ ვიცოცხლო“.

1986 წლის თებერვალი: „ჩამოვიდა ნიკიტა მიხალკოვი და ჩემი ნახვა უნდა. მე არ მიინდა... გამოჩნდა თათარ ოსლეონი. ბარათი მომანდინა. არავის ნახვა არ მიინდა“.

და ბოლოს: „მხოლოდ და მხოლოდ ტკივილები და განხირულობა“.

პოლტიკა იქრებოდა თავისი შემოქმედებით აპოლიტიკური ტარკოვსკის ფიქრებში.

აი, 1982 წლის 29 აპრილის ჩანანერი: „დამესიზმრა ბრეჟნევი, რომელიც კეთილგანწყობით მელაპარაკებოდა. Dio mio! (ღმერთო ჩემო!)“.

1982 წლის ნოემბერი - ბრეჟნევის გარდაცვალება და ანდროპოვის აღზევება: „ახლა კოვლე დღე ქვეყნის ცხოვრების ძველი გზით - სრიალია უფსკრულიასკენ. შეუძლებელია, ანდროპოვმა ეს არ იცოდეს!“

მთელი „მარტივროლოგის“ ფინალურ აკორდად გამოდგება ბედისგან უნდურად განხირული ხელოვანის ამონაქვენი: „რა ნალვლიანია ცხოვრება ამქვეყნად! შერის ყველასი, ვისაც ძალეუ შრომა დამოუკიდებლად სახელმწიფოსგან. ღმერთო, ჩემო, რაოდენ ხემავე ხელისუფლება გვაქვს! განსჭირდება მას ღმერთბატურა, მუსიკა, მხატვრობა, კინო!“

ამგვარი დავგანონი, რა თქმა უნდა, ოდენ საბჭოთა ხელისუფლებას როდი შეიძლება დაუსჯა...



306 არის მართალი?

ლად იქცნენ (ცხადია, ეს მარტოოდენ ყავდასულ თაობებს ეტება, ჩვენს სამა-

სოლენეციჩინისა არ იყოს, ტარკოვსკიც გაუბოროტებია თავის უბედობას, გარე-სამყაროს გულცივიობას, შემოქმედებით გოლგოთას და... ჯერის იერის კოლექტზე.

აგრ, უნახავს ბონდარჩუკის „ვატერლოო“. ვკითხულობთ მთაბჭედოლებას: „საბრალო სერიოგა! მის მაგივრად მე მრცხვენია!“

უნახავს ალოვის და ნაუმოვის „სარბოლა“ (ბულგაკოვის მიზედვით). წერს: „ეს საშინელი რამ არის. აბურად აგდება ყოველივე რუსულისა – ადამიანის, ოფიცრის, ხასიათების. ეშმაკმა უწყის, რა არის!“

კიდევ ერთი ციტატა ტარკოვსკის უბის წიგნაკებიდან: „ჩუბრაი არ მომწონს. თავის თავზე შეყვარებულია და უნიჭო... ჭირვეული, უნდობარი და ქარაფშუტა ადამიანი“.

შეიკო, რომ სმოკტუნოვსკი ტელევიზიისთვის იღებს დოსტოევსკის „იდიოტს“ (ცხრა სერიად!). კინაზ მიქინსაკ თვითონ თამაშობს. გოცუბით ამბობს: „ნეტავი რა უნდა დადგას? ის ხომ უღრან ტყესავით ბნელია“.

1980 წელსლა, დაგვიანებით ნახულობს კოხინცევის „ჰამლეტს“. და აი, განაჩენიც: „რაოდენ უსუსურია! ნუთუ მართლა ფგონა, რომ რაღაც ფასეული შექმნა?“

ახლა მსახიობები თქვით!

„ნუთუ ყველა მსახიობი სულელია? ლამის ვიფიქრო, რომ ჭკვიანი მსახიობები საერთოდ არ არსებობენ... ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ჭკვიანი მსახიობი... შემხვედრია კეთილიც და ბოროტიც, თავაგებებულნიც და თავდაზნაბნიც, მაგრამ ჭკვიანი – არასოდეს, არც ერთხელ“.

პოეტებსაც გადასწავლება (მამა პოეტი ჰყავდა!). უზომოდ სახელმძიმეძილ ვეგენი ვეტლუნისას ასე ახასიათებს: „უბადრუკი... პრანჭიკელა... გაიჭირა“.

გასაკვირი არ იქნება, თუკი პატრიოტიზმის კეთილშობილი ხუნდებით შემორკილი რომელიმე ღრმადაბატოცე-მული მკითხველი ტარკოვსკისა და მისი კოლეგების ამბავს რომ გაეცნობა, აღმოფითებით ნამოიძახებებს: ბონდარჩუკი თუ ჩუბრაი რა ჩვენი საქმე, ყველამ თავისი მკვდარი იტორისო (ეგზე უფრო ვულგარულადაც ბრძანის): ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო).

მაგრამ რა უნდა ქნა, რა უნდა იღონო, რომელ კედელს უნდა ბიალო თავი, როცა ეს ბონდარჩუკები და ჩუბრაები (ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!), ცხონებული ვერეკლე შეიღს გამოსიბობით, დაგვემოყვრენ და, იმ წვეულ ნარსულში, ჩვენი ისედაც გატანჯული ცხოვრების დაწყურელ ნაწი-

ყო ტინეიჯერებს – არავითარი შემთხვევაში მერწმუნეთ, ლეე ტოლსტოის ვერ გაარჩევენ ლეე იაშინისგან).

ორიოდე სიტყვით ეგებ განვსაჯოთ, რამდენად მარ. თებულად ტარკოვსკი უაქელავციო შეფასებანი?

სახელმწიფი კინორეჟისორი თავის „მარტორლოგმა“ ერთგან ამბობს: „ჩემი მიზანია, რომ კინო გავუტოლო ფერწერას, მუსიკას, პოეზიას და ა.შ.“

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ცხოვრებას საქმითა ეპოქაში, ტარკოვსკის მიერ აბურად აგებული კინორეჟისორები უფრო ასახავდნენ (ავად თუ კარგად), ვიდრე გენიალური ვიჭრებოზი.

ფართო მატურული მათ ფილმებს უფრო ითავისებდა და, რაც მთავარია, შემოსავალიც მეტი მოჰქონდათ სახელმწიფოსათვის.

აი, მაგალითად ბონდარჩუკის „ბედი კაცისა“ ეტებოდა მწვაეე პრობლემას – დიდ სამამულო ომში ტყვედ ჩაგარდნილ წითელარმიელთა მწარე ხეცების და ფილმი ღლადადება მათ მართლდაცობას (ე.წ. „დათბობის“ შესახაში-სად).

ჩუბრაის „ორმოცდამეერთე“ ასახავდა სამოქალაქო ომის წლებში უბადურ კუნძულზე გარყული წითლარმიელი ქალისა და თეთრგარდიელი ოფიცრის სიყვარულს, რასაც ავტორი არ გმოხდა!

ბულგაკოვის „სარბოლა“ (ალოგმა და ნაუმოვმა რომ გადაიღეს) ლამის აპოლოგია იყო თეთრი გვარდისია.

ყოველივე ზემოთქმული აღნიშნულ ფილმთა ხობტას როდი ნიშნავს, მაგრამ მათ თავიანთი ადგილი დამიკვიდრეს მაყურებლის ცხობიერებაში, ცარიელი ნიშა შეავსეს. სახობადოებამ ისინი კარგად მიიღო, შეიყვარა. ეს ხომ პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს წარმოადგენდა, მოარული გამოთქმა რომ ვიხმართო, ტაძრისაკენ მიმავალ ტახზე.

ანკი კოხინცევის „ჰამლეტმა“ რა დაუშავა ტარკოვსკის? როგორც ამბობენ, ეს ფილმი არაფრით ჩამოუვარდება სერ ლორენს ოლივიის „ჰამლეტს“.

და მათ სათავეში იდგა კალატოზოვის ბრწყინვალე ქმნილება „მიფრინავენ წეროებში“ (ოქრის პალმის რტო – 1958 წ. კანის საერთაშორისო ფესტივალზე).

ყველაზე ტარკოვსკის ხომ არ გადაამალურედნენ?!

ერთი სიტყვით, დღემდე გადაუჭრელი რჩება, ვინ არის მართალი – ხელოვნება ხელოვნებისათვისო ხელოვნება ხალხისთვისო?

ქრონიკა

ავატა კრისტის უცნობი მოთხრობა ჯერ კიდევ წიგნის გამოსვლამდე გამოქვეყნდა.

„ცერებრის მორჯულებას“ (1947 წელს გამოქვეყნებული ამავე დასახელების მოთხრობის ალტერნატიული ვერსია) პირველი თავი, რომელიც ხელნაწერები 30 წელიწადს იყო ჩაკარგული, ფურხად „დელო მელის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

გამოქვეყნებული მოთხრობების „ქალის მურთის საიდუმლო“ და „ცერებრის მორჯულება“ მონახაზები ზრიტანელმა მკვლევარმა ჯონ კარანმა ა.წ. იენისის თემში აღმოაჩინა მწერლის სახლში.

კარანმა 1920-1970 წლების ხელნაწერების 73 რვეული გამოფრა. სამწუხაროდ, ამ გურკვევული კალიგრაფიით მსრუთულზე ხელნაწერები სრულად ორიენტრება მხოლოდ „დეტექტივის დედოფალს“ შეეძლო. რვეულებში ბევრი ორიგინალი სიცხობარო ინფორმაცია მერეულ ნაწარმოებთა მონახაზებსა და სამურნეო შენიშვნებთან.

ორივე მოთხრობა კარანის რედაქციით 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. წიგნს, რომელსაც პარკერ კოლინის გამოქვეყნლობა გამოსცემს, ასე დაურქმევე: „ავატა კრისტის საიდუმლო უბის წიგნაკები: საიდუმლოთა 50 წელი მზადების პროცესში“.

ქართული ლიტერატურა (X კლასის სახელმძღვანელო)

შედგენილი ბელა წიფურიას მიერ

როგორ ვიკითხოთ ქართული ლიტერატურა, და როგორ ვასწავლოთ ის?

ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელო ახალი ინსტრუმენტია ლიტერატურული ტექსტის და ლიტერატურული პროცესის წაკითხვისთვის.

წაკითხვით, ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბოლო ორი საუკუნის მალაქმსატვრული, საყოველთაოდ ცნობილი ქართული ტექსტები და ამ გზით ვასწავლოთ მხატვრული ტექსტის ბუნებაც, მიხი კითხვის ხერხებიც.

წაკითხვით ქართული მწერლობა, როგორც საქართველოს კოლონიურ ვითარებასთან წინააღმდეგობის უწყვეტი, ორსაუკუნოვანი პროცესი და დღევანდელი პოსტკოლონიური ვითარების დაძლევის საშუალება.

გავიაზროთ ქართული ლიტერატურა, როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის შექმნის, განვითარების, განახლების ძირითადი სივრცე.

დავეხმაროთ ჩვენს მოსწავლეებს ლიტერატურის მეშვეობით საკუთარი ნაციონალური, კულტურული, პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

ვიკითხოთ ქართული მწერლობა თანამედროვე მიდგომებით და ის თანამედროვეობის გაგებაში, ახალი თანამედროვეობის შექმნაში დაგვეხმარება.

დასტამბა გამოცემლობამ „არტანუჯი“



6211/34



მსჯელობა

ლუკა ლაშინის ნახატი